გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

60 თეთრი №106 (1132) 23 - 25 ოქტომბერი, 2015 წელი

ოთხშაბათი პარასკევი

სოლიდარობა „რუსთავი 2“-სა და ნიკა გვარამიას

ვინ არის ნიკა გვარამიას მეგობარი ალექსი ახვლედიანი, რომელმაც საქართველოს მთავრობის მესიჯი გადასცა

ბრძოლა „რუსთავი 2“-ისთვის გრძელდება

მორიგი სასამართლო პროცესი 26 ოქტომბერს გაიმართება

სახიფათო თამაში

მაესტრო

გია გაჩეჩილაძე: „რატომ საუბრობენ მხოლოდ „რუსთავი 2“-ზე მაშინ, როცა სხვა ტელევიზიებს მილიონებს პატიობდნენ და მე „მაესტროს“ საკანში ბომბს მიგდებდნენ! ყველაფერს პოლიტიკური სპეკულაციისა და ორმაგი სტანდარტის სუნი ასდის. მე ბოლომდე ვიბრძოლებ „მაესტროს“ გადასარჩენად“

„უცნობი“ უზენაეს სასამართლოში დაკითხვაზე დაიბარეს

ევროკავშირთან საქართველოს ერთ-ერთი ვალდებულება წამლის ხარისხის კონტროლია

„სანამ ლადო პაპავა არ გადადგება, შიმშილობას არ შევწყვეტთ“

სტუდენტები საპროტესტო აქციებითა და უნივერსიტეტში კორუფციული სქემის გამოაშკარავებით იმუქრებიან

ევროკავშირთან საქართველოს ერთ-ერთი ვალდებულება წამლის ხარისხის კონტროლია

მაკა ბანძელაძე

ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების ხარისხის კონტროლის კუთხით, ახალი სტანდარტის დამკვიდრებას გეგმავს. მინისტრ დავით სერგეენკოს მიაჩნია, რომ ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება აუცილებელი წინაპირობაა, რათა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს და მეტი სტიმული ადგილობრივ წარმოებას მიეცეს. თუმცა იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, აუცილებელია მედიკამენტის ხარისხის კონტროლის მწყობრი სისტემის ამუშავება, რაზეც ჯანდაცვის სამინისტროში ინტენსიური მუშაობა უკვე დაწყებულია და რეალური შედეგები ცნობილი მალე გახდება.

რამდენად იმოქმედებს გაძვირებულ მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლი და ახალი რეგულაციები? **დავით სერგეენკო** განმარტავს: **„ფარმაინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრად რეგულირებული სფეროა. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს დარგი დერეგულირებულია. სწორედ, ხარისხის კონტროლის სისტემის არარსებობა გვიქმნის პრობლემას, ჩვენთვის უცნობია რა ხარისხის მედიკამენტებს ღებულობენ პაციენტები. ხარისხის სისტემის არარსებობა ბლოკავს სახელმწიფოს, შევისყიდოთ ჯენერიკები, რადგან ხარისხის ობიექტური დადასტურება არ გაგვაჩნია“.**

მინისტრი აღნიშნავს, რომ ჯენერიკების შემოსვლა წამლებს მნიშვნელოვნად გააიაფებს: **„საზოგადოების დიდი ნაწილი მტკივნეულად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელიც ქვეყანაში ფასების მატებას ეხება. მათ შორის წამლებზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწვებათ პაციენტებს და დანიშნული მკურნალობის გაგრძელებას ვერ ახერხებენ. საჭიროა ფარმაცევტული ხარჯების რაიმე გზით შემცირება. ამ შემთხვევაში, ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ეკონომიური შეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტებია“.**

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ევროკავშირთან გარკვეული ვალდებულებები გააჩნია, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, წამლის ხარისხის კონტროლის საკითხია. **„ვალდებულებებიც რომ არ არსებობდეს, ფარმაცია ისეთი სათუთი სფეროა, რეგულაციის გარეშე შეუძლებელია ნორმალურად ფუნქციონირებდეს, რაც სახელმწიფოსთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის საკმაოდ დიდი რისკი იქნებოდა. ქვეყნებმა, რომლებმაც სწორედ ეს გზა გაიარეს, უკვე შეიმუშავეს შესაბამისი თავდაცვითი და ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რომელთა ჩვენს სივრცეში გადმოტანა და ადაპტირებაა აუცილებელი. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო კონსულტანტებთან ერთად ცდილობს იმ რეგულაციებს მივუახლოვდეთ, რაც არსებობს ევროკავშირის ქვეყნებში. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებებს, ეს საკმაოდ რთული საკითხია. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ცვლილებები შეგვეტანა წამლის შესახებ კანონში, რომელსაც უახლოეს მომავალში შევთავაზებთ საზოგადოებას“,** — განმარტავს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ვალერი კვარაცხელია.**

რაც შეეხება ჯენერიკ მედიკამენტებს, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მასში საეჭვოს ვერაფერს ხედავს: **„ჯენერიკ მედიკამენტები ფარმაკომპანიებს აქამდეც შემოჰქონდათ და მომავალშიც შემოიტანენ. მხოლოდ ორიგინალი და ბრენდული პრეპარატების იმპორტი რომ ხდებოდეს ქვეყანაში, რა ფასებიც დღეს არსებობს, მასზე 5-ჯერ მეტი იქნებოდა. ზოგიერთმა ქვეყანამ, სადაც ორიგინალი პრეპარატები გადიოდა ტენდერზე, აკრძალა ეს მიდგომა და ორიენტაცია ჯენერიკებზე აიღო, რითაც ხარჯები შეამცირა. ჯენერიკებს თავისი პლუსები აქვს თვითღირებულების მხრივ, ამიტომ ახალი ჯენერიკების შემოტანას ქვეყანაში არაფერი აბრკოლებს. პირიქით, მათი სპექტრი უნდა გაფართოვდეს. შესაბამისად, ქვეყანაში მედიკამენტების ხარისხის კონტროლი უნდა იყოს მაღალ დონეზე. უახლოეს მომავალში ქვეყანაში მედიკამენტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორია დაიწყებს ფუნქციონირებას“.**

შს მინისტრის მოადგილე ევროკავშირის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეგიონული პროექტის წარმომადგენლებს შეხვდა

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე ევროკავშირის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეგიონული პროექტის გუნდის ლიდერს, ალან როსის და რეგიონულ კოორდინატორს, მარია ივჩენკოს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ ევროკავშირის საგზაო უსაფრთხოების რეგიონული პროექტის ხელმძღვანელებს შსს-ს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის არსი და ძირითადი კომპონენტები გააცნო. მხარეებმა განიხილეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული სიახლეები და პროგრამის განხორციელების პროცესში სამომავლო თანამშრომლობაზე იმსჯელეს.

შსს-ს საგზაო უსაფრთხოების პროგრამის განხორციელებაში და მისი შედეგების შეფასებაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TRACECA-ს რეგიონული უსაფრთხოების პროექტი დაეხმარება.

შსს-მ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული ლაშა კ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი 0,0148 გრ ნარკოტიკული საშუალება და 9,8 გრ გამომშრალი მარიხუანა ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

„სანამ ლადო პაპავა არ გადადგება, შიმშილობას არ შევწყვეტთ“

სტუდენტები საპროტესტო აქციებითა და უნივერსიტეტში კორუფციული სქემის გამოაშკარავებით იმუქრებიან

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის სტუდენტებმა უნივერსიტეტის რექტორის, ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნით უვადო შიმშილობა დაიწყეს. სტუდენტები შიმშილს განაგრძობენ მანამ, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. სტუდენტები პერმანენტული საპროტესტო აქციებითაც იმუქრებიან. თუმცა, აცხადებენ, რომ დამოუკიდებლად იბრძოლებენ და არ აპირებენ, შეუერთდნენ რომელიმე სხვა აქციას, მათ შორის, არც „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერთა პროტესტს, რადგან მიაჩნიათ, რომ რეალურად, ეს პოლიტიკური პროცესია.

20 ოქტომბრის შემდეგ, თსუ-ს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა პრობლემების შესახებ, რექტორთან ისაუბრეს და არაერთხელ სცადეს მასთან საერთო ენის გამონახვა, თუმცა ამბობენ, რომ პაპავას სათანადო რეაგირება არ მოუხდენია. სტუდენტები სასწავლებლის ადმინისტრაციის საქმიანობაში კორუფციული სქემების გამოვლენასაც გეგმავენ და ამის დამადასტურებელი საბუთების გასაჯაროებასაც აპირებენ.

უნივერსიტეტის რექტორი **ლადო პაპავა** თანამდებობის დატოვებას არ აპირებს: **„არასდროს მქონია სტუდენტებთან ურთიერთობის პრობლემა და არც ახლა მაქვს. თუ რაიმე დარღვევა არსებობს, მიმართონ შესაბამის ორგანოებს. ჩემი გადადგომის საკითხი არ განიხილება“.**

თსუ-ს უნივერსიტეტის თვითმართველობის პრეზიდენტი **შალვა საბაური** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ სანამ მათი აქციები შედეგს არ გამოიღებს, პროტესტს არ შეწყვეტენ: **„უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა იწყებს ბრძოლას სტუდენტების უფლებების დასაცავად. დიდი მცდელობის მიუხედავად, მოლაპარაკებების გზით მოგვეგვარებინა უნივერსიტეტში არსებული ძირეული პრობლემები, შედეგი ვერ მივიღეთ. ფაქტია, სასწავლებლის რექტორი და ადმინისტრაცია არაფერს აკეთებენ პრობლემების მოსაგვარებლად. არ შეიძლება, უცხო ენა ასე, გაუმართავად და შეუსაბამოდ ისწავლებოდეს, შენობაში წყალი ხშირად ჩამოდიოდეს, უნივერსიტეტის აუდიტორიებში იატაკი იყოს ჩანგრეული, ლექციაზე სტუდენტები ფეხზე იდგნენ ადგილის არარსებობის გამო. უნივერსიტეტის ბიუჯეტი 89 მილიონი ლარია და დღემდე, პრობლემებს მაინც ვერ ან არ აგვარებენ. ამიტომ ვითხოვთ ლადო პაპავას გადადგომას. უკან დახევას არ ვაპირებთ“.**

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **გიორგი სარალიძე** აღნიშნავს, რომ **„სტუდენტები, ყოველდღიურად, არაერთ პრობლემას აწყდებიან. მაგალითად, ინტერნეტით საგნის არჩევისას, რადგან ვებგვერდი გაუმართავია. უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული პრობლემებიცაა. მე-2 კორპუსის დიდ აუდიტორიებში ჭერია ჩამონგრეული. მაღლივში რამდენიმე კვირის წინ მინა ჩამოვარდა. შემთხვევით გადავრჩით. რექტორი არაფერს აკეთებს, რომ პრობლემები მოაგვაროს“.**

უნივერსიტეტის თვითმართველობის წევრის, **ბექა ბექაურის** განმარტებით, უახლოეს მომავალში ხელთ ექნებათ სასწავლებელში არსებული კორუფციული სქემების დამადასტურებელი დოკუმენტები: **„ლექტორებად ახლობლები მოიყვანეს, რომლებსაც არავითარი გამოცდილება და ცოდნა არ გააჩნიათ. კორუფციის ფაქტებიც იკვეთება, მაგრამ ამაზე არ ვსაუბრობთ, სანამ მტკიცებულებები არ გვაქვს. პირველკურსელიც მიხვდება, რომ ტენდერი მათთვის სასურველ კომპანიაზეა მორგებული. იმედია, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც გამოგვიცხადებენ სოლიდარობას და შეუერთდებიან ჩვენს აქციებს. სანამ ლადო პაპავა არ გადადგება, შიმშილობა და აქციები არ შეჩერდება. აქციები პერმანენტულ ფორმას მიიღებს“.**

ვინ არის ნიკა გვარამიას მეგობარი ალექსი ახვლედიანი, რა აკავშირებს საქართველოს მთავრობასთან და მილიონერ ტარიელ ვასაძესთან

მარიამ მაჭავარიანი

ნიკა გვარამიას დაკითხვის შემდეგ პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, სადაც იმ პიროვნებას ასახელებს, ვინც „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს მთავრობის მუქარა გადასცა. განცხადებაში ნათქვამია: **„2015 წლის 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მოწმის სახით დაიკითხა ნიკა გვარამია, რომელმაც დაკითხვისას აჩვენა, რომ მეგობარი, რომელიც მას შეხვდა, არის ალექსი ახვლედიანი, საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი — 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს პროკურატურა ალექსი ახვლედიანს დღესვე დაიბარებს დაკითხვის მიზნით. პროკურატურის მიერ მოწმე ნ. გვარამიას მიეცა წინადადება, რომ მისი და მისი ოჯახის მიმართ გამოყენებულიყო დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რაზეც მან უარი განაცხადა“.**

ვინ არის ალექსი ახვლედიანი? საზოგადოება მას კარგად იცნობს სწორედ „რუსთავი 2“-ის ეთერიდან, სადაც ყოველ ორშაბათს დიმა ობოლაძესთან ერთად ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებს მიმოიხილავდნენ. სხვათა შორის, რამდენიმე გახმაურებული სკანდალიც სწორედ „თბილისი 2015“-ს უკავშირდება, რომლის დასაფინანსებლად რამდენიმე ათეული მილიონი ლარი ჯერ ნაციონალებმა და შემდეგ ოცნებამ გამოყო. ფესტივალის ჩატარება-არჩატარების საკითხი ბოლო წუთამდე ბეწვზე ეკიდა, სწორედ არამიზნობრივად გახარჯული ფინანსების გამო, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, საქართველო საერთაშორისო სირცხვილისგან კვლავ ბიძინა ივანიშვილმა იხსნა და „ქართუ ბანკმა“ თუ ფონდმა დამატებითი თანხები შეაშველა შემოწირულობის სახით. შემოდგომაზე ისეთი პროცესები დაიწყო ახვლედიანი და ოლიმპიადა არავის გახსენებია, ამიტომაც ვერ გეტყვით, როგორ დასრულდა ეს სკანდალი, მაგრამ ოლიმპიადის დახურვიდან ორი თვის შემდეგ რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი კუთვნილ 180 000 ლარს კვლავ რომ ითხოვდა, ფაქტია. მართალია, თბილისის საკრებულოში არაერთხელ გააპროტესტეს ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და არაერთხელ დაისვა საკითხი ალექსი ახვლედიანის პასუხისმგებლობისა, ეს საკითხი არავის შეუსწავლია. მეტიც, როგორც გაირკვა, 2016 წელს პირველ ევროპულ ახალგაზრდულ ჩემპიონატს მძლეოსნობაში სწორედ ის ჩაატარებს.

რა აკავშირებს ალექსი ახვლედიანს ნიკა გვარამიასა და ნაციონალებთან? ნაცმოძრაობის კულუარებში ამბობენ, რომ კავშირი მჭიდროა და ძალიან მეგობრული. იგი საკმაოდ ახლო მეგობარი გახლდათ გიგი უგულავასი, ოღონდ მეგობრობდა მანამ, სანამ „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების უფლება ნაციონალებმა 2010 წელს მოიპოვეს და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიც სწორედ გიგი უგულავამ უბოძა ალეკო ახვლედიანს. ახლა კორუმპირებული უგულავა ამ პოსტზე რომ ოპოზიციის ერთგულ კაცს არ დანიშნავდა, ალბათ ხვდებით. ფაქტი კი ის არის, რომ 2012 წელს არც „ქართულ ოცნებას“ უცდია ახვლედიანის ამ პოსტიდან ჩამოშორება და ახვლედიანი ჯერ ლაშა ნაცვლიშვილთან გადაპორტირდა, „მეგობრობის პონტში“, შემდეგ ჯანყარაშვილი-ჩხენკელებთან. ვერ გეტყვით, როდის დამეგობრდნენ ახვლედიანი და ნიკა გვარამია, მაგრამ ალბათ საინტერესო იქნება, ვინმემ შეისწავლოს, რა თანხა აქვს გადარიცხული ახალგაზრდულ ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს „რუსთავი 2“-ში. ეს ისე, სხვათა შორის.

ახლა კიდევ რამდენიმე დეტალი ალეკო ახვლედიანის ბიოგრაფიიდან თავად უპასუხებს კითხვას, რატომ ანდობდა მას „ქართული ოცნება“ ისეთი საქმეების მოგვარებას, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში სპეცსამსახურების მკაცრად გასაიდუმლოებული კომპეტენციაა:

პროფესიით იურისტმა კარიერა ვაკის პროკურორის თანაშემწის პოსტიდან დაიწყო, თუმცა სულ მალე დიპლომატიურ სამსახურში გადავიდა. მუშაობდა, თურქეთში, სომხეთში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ საგადასახადო სამსახურში ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირველ მოადგილედ დანიშნეს, შემდეგ მუშაობა გააგრძელა შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის უფროსად. ეს გახლავთ მისი კარიერა შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ალექსი ახვლედიანი „მეტროპოლიტენის“ უფროსად დანიშნა, თუმცა ვარდების რევოლუციის შემდეგ ისიც, როგორც სხვა ბევრი ჩინოვნიკი, ციხეს ძლივს გადაურჩა და იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში თავადვე განმარტავს, ექვსი წელი იცხოვრა ემიგრაციაში, აქვს უკრაინაში კომპანია „ლოტი“ და სლოვენიაში აიტიტექნოლოგიების კომპანია, რომელიც მუშაობს როგორც სატრანსპორტო, ისე სხვადასხვა მიმართულების მქონე კომპანიებთან. 2011 წლიდან მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია. და ბოლოს, კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ბევრმა ალბათ არ იცის, ალექსი ახვლედიანი ცნობილი ქართველი მილიონერის, უკრაინაში საკმაოდ გავლენიანი ბიზნესმენის ტარიელ ვასაძის მძახალია.

ალექსი ახვლედიანი მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. მისვლისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის „კურიერი“ არ არის. პრინციპში, მართალია, რას ვერჩით შიკრიკებსა და მსტოვრებს... მესიჯს გადასცემენ და მორჩა... ახვლედიანის ბეგრაუნდიდან გამომდინარე, სულ სხვა კატეგორიასთან გვაქვს საქმე... ჰოდა, ამ ბოლო დროს ისე ხშირად მახსენდება ლორდ უინსტონ ჩერჩილი რომ ამბობდა — **„პოლიტიკა მეორე უძველესი პროფესიაა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მას გაცილებით მეტი საერთო აქვს პირველ უძველეს პროფესიასთან“**-ო... დარწმუნებული ვარ, მას რომ საქართველოს უკანასკნელი, თუნდაც 10-წლიანი ისტორია გაეანალიზებინა, იტყოდა — საქართველოში ყველაზე პოპულარული და შემოსავლიანი პროფესია გახლავთ პოლიტიკური პროსტიტუცია... და მაშინ სადღაა მეგობრობა?!

ბრძოლა „რუსთავი 2“-ისთვის გრძელდება

მორიგი სასამართლო პროცესი 26 ოქტომბერს გაიმართება

ნინო ინაშვილი

19 ოქტომბერს, სასამართლომ საზოგადოების მოლოდინი არ გაამართლა და „რუსთავი 2“-ისა და ქიბარ ხალვაშის დავაზე, გადაწყვეტილება არ მიიღო. ფინალური სხდომა, 22 ოქტომბერს გაიმართა. „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ, ყველას, ვინც 19 ოქტომბრის პროცესს ესწრებოდა, მოუწოდა 22 ოქტომბერსაც მისულიყვნენ სასამართლოში. თუმცა, ფინალურ სასამართლო სხდომას, თავად გვარამიაც კი ვერ დაესწრო — მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ სხდომა დახურა და სასამართლო დარბაზში არხის გენერალური დირექტორი არ შეუშვა.

ურთმელიძემ აღნიშნა, რომ სასამართლოზე გვარამიას დასწრება არაა საჭირო, რადგან მისი მხრიდან სისტემატურად ხდება სასამართლოს ინსტიტუციის დაკნინება.

სასამართლო სხდომამდე კი, გვარამია სასამართლოს გარდა, ხელისუფლების დაკნინებაში, ნაციონალური თამაშის თამაშსა და მმართველი გუნდის იმიჯის შელახვაშიც დაადანაშაულეს. არგუმენტად კი, გვარამიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოიყვანეს, მუქარის შესახებ — **„შევხვდი ადამიანს, რომელიც სამთავრობო მესიჯებს მაწვდიდა. მითხრეს — თუ არ ჩამოვშორდები საქმეს, ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდები. არ უნდა დამავიწყდეს, რომ ჩემი ოჯახის წევრები აქ ცხოვრობენ და ვერ მოვასწარი მათი ამერიკაში გაშვება, არ უნდა დამავიწყდეს, რომ არსებობს ვიდეო, რომელზეც გადაღებულია კონკრეტული ურთიერთობები და ეს გამოქვეყნდება. არ უნდა დამავიწყდეს, რომ მაქვს სატელეფონო საუბრები სააკაშვილთან და გამანადგურებენ ჩემი კოლეგების თვალში. დღეს სასწორზე დევს ქვეყნის დემოკრატიის მომავალი. ხელისუფლებას მივმართავ, ატვირთეთ რაც გნებავთ, ჩემთვის სულ ერთია, ეს არის ჩემი პირადი ცხოვრება, თუ მე ვარ უკანონო თვალთვალის წინაშე, გაზღვევინებთ სასამართლოს წინაშე. გულწრფელად ვამბობ, არაფერი ცხოვრებაში არ ჩამიდენია ისეთი, რომლის გამოქვეყნებაც იქნებოდა იმაზე უარესი, ვიდრე „რუსთავი 2“-დან გაქცევაა, ჩემი კოლეგების ღალატი და რაც მთავარია ჩვენი მაყურებლების ღალატი. ამას არ ჩავიდენ არავითარი შანტაჟის სანაცვლოდ, არც ერთი გადაწყვეტილების სანაცვლოდ, რომელიც არ უნდა გამოიტანოს ურთმელიძემ“.** გვარამიამ ისიც განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, მოსამართლე ურთმელიძე ტელეკომპანიის ქიბარ ხალვაშისთვის მიკუთვნებას აპირებდა.

„რუსთავი 2“-ის დირექტორის ნიკა გვარამიას მიერ, საჯარო განცხადების საფუძველზე, მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება, მის მიმართ იძულების განხორციელების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ს 150-ე მუხლის პირველი ნაწილით. საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი დაუკავშირდა გვარამიას ტელეფონით და მოწმის სახით დასაკითხად დაიბარა.

პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყება დაასახელა „რუსთავი 2“-ის ადვოკატმა იმის მიზეზად, რომ მათ პროცესის გადადების შუამდგომლობა დააყენეს. მოსამართლემ მათი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ადვოკატებს არ აქვთ წარმოდგენილი განცხადება, რითიც მტკიცდება, რომ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების პროცესში, ისინი მონაწილეობენ. არ დაკმაყოფილა შუამდგომლობა არც მოსამართლის აცილების თაობაზე.

„რუსთავი 2“-ის საქმესა და ნიკა გვარამიას განცხადებებს პოლიტიკოსებიც გამოეხმაურნენ. საზოგადოებაში, განსაკუთრებული აჟიოტაჟი, სასამართლო პროცესის პარალელურად, პრემიერ-მინისტრის განცხადებებმა გამოიწვია. ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე გააჟღერა, თითქოს, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები სასამართლოსთან პროვოკაციის მოწყობას აპირებდნენ: **„ე.წ. „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერები, რეალურად კი ნაციონალური მოძრაობის, ამ სადისტების მხარდამჭერები აპირებენ შეკრებას სასამართლოსთან, ბავშვების მიყვანას და შემდეგ რაღაც პროვოკაციების მოწყობას. გაფრთხილებთ ყველას, ნუ წამოეგებით პროვოკაციას. კიდევ ერთხელ გაქვთ შანსი, ბოლო შანსი გაქვთ თქვენ ყველას, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას, საზოგადოებას ბოდიში მოუხადოთ და ყოველგვარ პროვოკაციას თავი დაანებოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ადამიანები მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ არა მხოლოდ ხელისუფლებისგან, თუ რა თქმა უნდა კანონს დაარღვევენ, არამედ ხალხისგან“.** რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეს, ღარიბაშვილის თქმით, ეს არის კერძო დავა ორ სუბიექტს, მიხეილ სააკაშვილსა და ქიბარ ხალვაშს შორის, რომელშიც მთავრობის ჩართულობა, გამორიცხულია: **„ქიბარ ხალვაშმა 3 წლის განმავლობაში ვერ მიაღწია სამართალს. ვაღიარებ, მან ვერ აღიდგინა დარღვეული უფლებები და ვერ დაიბრუნა წართმეული ქონება. დამოუკიდებელ, თავისუფალ სასამართლოს საშუალება უნდა მიეცეს, მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება და ამის შემდეგ, მხარეებს ექნებათ უფლება და საშუალება, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანონ“.**

პრემიერის განცხადებების კვალდაკვალ, საგანგებო ბრიფინგი ჩაატარა საქართველოს პრეზიდენტმა. გიორგი მარგველაშვილის აზრით, მთავრობის მეთაურის გამოსვლამ მეტი დაძაბულობა შეიტანა, ისედაც რთულ ვითარებაში. ამ ფონზე, მარგველაშვილმა პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან მოლაპარაკებები იმისთვის, რომ **„შევინარჩუნოთ სამოქალაქო სტაბილურობა, მშვიდობა და კონსტიტუციური წესრიგი“.**

პოლიტიკოსებმა და მთავრობის წევრებმა ნიკა გვარამიას მოუწოდეს, დაესახელებინა პირი, ვინც მას ემუქრებოდა. გვარამიამ განაცხადა, რომ ამას პროკურატურაში დაკითხვაზე იტყოდა. „რუსთავი 2“-ის დირექტორი პროკურატურაში 22 ოქტომბერს მივიდა. სამსაათიანი დაკითხვიდან გამოსულმა გვარამიამ განაცხადა, რომ გამომძიებლის შეკითხვები ძირითადად ეხებოდა ფაქტებს მუქარის შესახებ. „რუსთავი 2“-ის დირექტორმა პროკურატურას ვიდეოჩანაწერები მიაწოდა. მიუხედავად ამისა, ის დარწმუნებულია, რომ გამოძიება არ წარიმართება და ხელისუფლება საკუთარ თავს არ დასჯის.

ნიკა გვარამიამ ის მეგობარიც დაასახელა, რომელმაც შეხვედრისას მთავრობის მესიჯები გადასცა. პროკურატურის ინფორმაციით, ეს პირი საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ალექსი ახვლედიანია. გამომძიებამ ნიკა გვარამიას ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვა შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა — **„ეს იგივეა, მგელმა დაიცვას ცხვარი. ჩემს ოჯახს ვიცავ ამ ხელისუფლებისგან და ვაპირებ მათ გახიზვნას აშშ-ში. არ ვგეგმავ, ვისგანაც ყველაზე დიდი საფრთხე მოდის, დაცვად ავიყვანო“.**

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეს, მოსამართლემ განჩინება ჯერჯერობით არ გამოიტანა და პროცესი, 26 ოქტომბრისთვის დაანონსდა.

„რუსთავი 2“-ის ეზოში კი, პროცესების პარალელურად, აქცია გრძელდებოდა. ეზოში გასაშლელი საწოლები და ლეიბები მიიტანეს და კარვებში დააწყვეს. როგორც აქციის მონაწილე და „თავისუფალი ზონის“ წევრები აცხადებდნენ, ღამის გათევისთვის საჭირო ნივთები მოქალაქეებმა მიაწოდეს, რათა დაიცვან „რუსთავი 2“. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აქცია დასრულდა და ტელეკომპანიის დამცველები დაიშალნენ. მათ გეგმები თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილების გამო შეცვალეს — მოსამართლე „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას 26 ოქტომბერს გამოაცხადებს. აქციის მონაწილეებს არხის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაალ უდუმაშვილმა მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მოქალაქეები, 23 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის კონცერტზე დაპატიჟა, თუმცა, ეზოში კარვები კვლავ განთავსებულია.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„არაერთხელ იყო ჩემთან მოლაპარაკებისა და შანტაჟის მცდელობაც“

რა სკანდალურ დეტალებს იხსენებდა ეროსი კიწმარიშვილი „რუსთავი 2“-ზე

22 ოქტომბერს პოლიტიკური სპექტრი დიდი ინტერესით ელოდა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ, „რუსთავი 2“-ისა და ქიბარ ხალვაშის დავაზე, გადაწყვეტილება არ მიიღო. ფინალური სხდომა 26 ოქტომბერს დაანონსდა. ვითარება კრიტიკულად ნიკა გვარამიას განცხადებებმა შეცვალა, ხელისუფლების მხრიდან მისი შანტაჟის შესახებ. არხის შენობის ეზოში კი კარვები გაიშალა. ერთი სიტყვით, ისტორია მეორდება — ტელევიზია და ხელისუფლება ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, როგორც უკვე მოხდა 2001 წელს. ფაქტია, ის, რაც დღეს „რუსთავი 2“-ის თავს ხდება, მისთვის არახალია, ამიტომაც არხის შექმნისა და პოლიტიკური ქარტეხილების ისტორია მოკლედ გავიხსენეთ.

არ ვიცი, ქვეყანაში დარჩა თუ არა ვინმე, ვისთვისაც უცნობია, რომ ყველაზე პოპულარული არხის ერთ-ერთი შემქმნელი და თავის დროზე 50%-იანი წილის მფლობელი, ყოფილი „მემარჯვენე“ და დღეს უკვე პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველი, ფიქრია ჩიხრაძე იყო. მეორე მხრივ, ბევრია ისეთი, ვისაც პროკურატურის უნიათობაზე მეტად, იმის სჯერა, რომ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა თვითმკვლელობად მიზანმიმართულად მოინათლა. ამ საქმის გამოძიება კი იმიტომ არ დასრულდა, რომ მკვლელობა ქიბარ ხალვაშის გამოჩენისა და სასამართლო პროცესების განახლების წინ, ძალიან ჰგავდა ტელევიზიიდან კიწმარიშვილის ჩამოშორების სქემას. აკი, ბატონი ეროსიც ამბობდა, ერთადერთი გზა, „რუსთავი 2“-ის თამაშიდან გამიყვანონ, ჩემი „გაგორებაო“. ამ თამაშში კი ეროსი კიწმარიშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და ბევრი სხვა გავლენიანი პოლიტიკოსი იყო ჩართული. ამიტომ გადავწყვიტეთ, არხის „შემქმნელების“, ჩიხრაძე-კიწმარიშვილის ნაამბობის მიხედვით, „რუსთავი 2“-ის ნამდვილი პოლიტიკური თავგადასავალი გაგვეხსენებინა: არხის ეთერში გასვლა ჩიხრაძისა და მისი მეგობრების, თედო ისაკაძისა და ნიკო ნიკოლოზიშვილის სახელსაც უკავშირდება. ამ დროს, კიწმარიშვილი და ცნობილი დუეტი, დვალი-აქიმიძე ტელეკომპანია „გამა+“-ს ფლობდნენ, რომელიც მხოლოდ რუსთავში მაუწყებლობდა, თბილისის დაფარვას კი ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ, ჩიხრაძესა და მის მეგობრებს სწორედ თბილისში ჰქონდათ „თამარიონი“, რომელსაც ეთერში გასვლის პრობლემები შეექმნა. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს სიტყვიერად შეუთანხმდა, ორი არხის ტექნიკური საშუალებების შერწყმის შედეგად კი „რუსთავი 2“ გავიდა ეთერში. აი, სწორედ ამას მოჰყვა პირველი სასამართლო გარჩევა: ეროსიმ ფიქრია „გადააგდო“ და დაპირებული 50%-იანი წილიდან 25% შესთავაზა. ამ პერიოდის შესახებ **ფიქრია ჩიხრაძე** ჟურნალისტ რეზო შატაკიშვილსაც ესაუბრა და დაადასტურა, რომ ეროსი კიწმარიშვილი არხის უფლებებისთვის ბრძოლას მის მიერვე მოტყუებულ ჩიხრაძესთან ერთად აპირებდა: **„რუსთავი 2“ დაიწყო რუსთავში, კიწმარიშვილის, აქიმიძე-დვალისა და პაატა ჩახნაშვილის მიერ, მაგრამ პრობლემები გასვლისთანავე შეექმნათ, რადგან ლევან მამალაძეს სურდა, ამ არხს დაპატრონებოდა და მისი სიხშირე მერიას გადასცემოდა. უარის შემდეგ, მამალაძის თხოვნით, კავშირგაბმულობის მაშინდელმა მინისტრმა ინჯიამ ჩამოართვა ეროსის ლიცენზია და გაუთიშა სიგნალი, 1995 წლის ზაფხულში. ჯარჯი აქიმიძე ჩემი მეგობარი იყო და დახმარება მთხოვა. მაშინ ახლო ურთიერთობა მქონდა ზურაბ ჟვანიასთან, მთელ ახალგაზრდულ ფრთასთან და ბევრი ბრძოლა და საუბარი მომიხდა, რათა არხს ფუნქციონირება გაეგრძელებინა. ჩემი არხი, „თამარიონი“ კი მეთორმეტე მეტრულ სიხშირეს ფლობდა, რომელიც გია ყარყარაშვილს ეკუთვნოდა და მე გადმომცა, ახალი ტელევიზიის შესაქმნელად. ასე გავხდი „თამარიონის“ გენდირექტორი და გაჩნდა იდეა, კიწმარიშვილსა და მის მეგობრებთან ერთად, ახალი ტელევიზია გაგვეკეთებინა, არსებული პრობლემური ტელევიზიების ბაზაზე. რომ ბევრი მაფრთხილებდა, ასე უპირობოდ ნუ ენდობი ეროსისო, მაგრამ სიხშირე გადავუფორმე, ეთერში კი ჩვენგან დამოუკიდებლად გავიდნენ, 50%-იანი წილის ნაცვლად 25% შემომთავაზეს და ხალხს ეუბნებოდნენ, ხელისუფლება გვებრძვისო. სწორედ მეორე — ხელისუფლების მხარეს აღმოვჩნდი. დავა სასამართლოში გაგრძელდა, სადაც პირველი ორი ინსტანცია მოვიგეთ. ამასობაში არხი დაიქოქა, პოპულარული გახდა და მასთან ბრძოლა უკვე მედიაზე ზეწოლად აღიქმებოდა. საზოგადოების თვალში წამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდი და პროცესი რომც მომეგო, მაინც ვერაფერს მივიღებდი. იმ პერიოდში, ეროსიმ გამონახა ზურაბ ჟვანიასთან საერთო ენა და საბოლოოდ, პროცესი წავაგეთ. ეროსი და ჟვანია მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. თუმცა „ვარდების რევოლუციამდე“ ერთი თვით ადრე, კიწმარიშვილმა და „რუსთავი 2“-მა ფსონი მიხეილ სააკაშვილზე დადეს, რამაც ჟვანია გაანაწყენა. ჟვანია-კიწმარიშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა და დაიწყო წილების გადანაწილების უსასრულო ეპოპეა... კიწმარიშვილის სახელი ბოლო პერიოდშიც უკავშირდებოდა „რუსთავი 2“-ს. უკვე დაწყებული იყო საუბარი არხის ძველი მეპატრონეებისთვის დაბრუნებაზე. ეროსი ამბობდა, რომ ხელთ ჰქონდა ყველა სამართლებრივი დოკუმენტი და მას „რუსთავი 2“-ის საქმიდან ვერ ამოაგდებდნენ. რამდენჯერმე შევხვდით კიდეც, რადგან მის თავში ნამდვილად იხარშებოდა არხის დაბრუნების ერთიანი სქემა, მაგრამ უარი ვთქვი ამ ბრძოლაზე მაშინაც და შემდეგაც. არ მინდა, ხელისუფლების ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდე და ჩემი აქტივობით არხის განადგურებაში შევიტანო წვლილი“.** პერიოდი, რომელზეც ჩიხრაძე საუბრობს, პარლამენტსა და ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ძალთა გადანაწილებასა და გავლენებისთვის ბრძოლას ემთხვევა. ამ ბრძოლაშიც და არჩევნებში გასამარჯვებლადაც „რუსთავი 2“ მაშინაც ფასდაუდებელი იარაღი იყო, მისი ხელში ჩაგდების მეთოდები კი მსგავსი. დაიწყო არხის გაკოტრება, თავად კიწმარიშვილის ჩართულობით, მანამდე იყო არხის შენობაში შევარდნა და მაუწყებლობაში ხელის შეშლა და ა.შ. კიწმარიშვილი მის გენდირექტორად 1994-დან 2004 წლამდე დარჩა, ვიდრე „რუსთავი 2“-ში წილებს გაასხვისებინებდნენ. მაშინ მას შევარდნაძის მთავრობის არაერთი მაღალჩინოსანი ემუქრებოდა, რაც საბოლოოდ, შევარდნაძის წასვლით, მანამდე კი მინისტრების მოხსნითა და „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა, რაშიც ლომის წილი სწორედ „რუსთავი 2“-ს მიუძღვის. ეს 8-წლიანი პერიოდი, ალბათ, არხის ოქროს ხანა იყო, რომელიც ახალი სახელით დაგვირგვინდა — „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“! 2004-დან 2012 წლამდე კი არხის მფლობელთა ვინაობა თითქმის 20-ჯერ შეიცვალა. 20 გვარის ჩამოთვლა, ალბათ, ნაკლებად საინტერესოა, მთავარი, ამ პერიოდში, ორი ცენტრალური ფიგურაა — ხალვაში-ოქრუაშვილი, რომლებიც მეგობრობდნენ და „რუსთავი 2“-ს 2005-2007 წლამდე ფლობდნენ, ვიდრე ოქრუაშვილი ნაციონალებიდანაც და ქვეყნიდანაც სკანდალურად არ განიდევნა. ამ პერიოდში კი, კიწმარიშვილი 2007-2008 წლებში, სააკაშვილის პირადი „პიარშჩიკი“ გახდა. არჩევნებიდან რამდენიმე თვეში ნაციონალებთან ურთიერთობა მასაც საბოლოოდ აერია და რუსეთში ელჩად წავიდა. „რუსთავი 2“-ის გარშემო სასამართლო დავების მორიგი სერია კიწმარიშვილმა სწორედ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 2009 წელს გახსნა და წააგო კიდეც. არხის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური გარჩევების შესახებ კიწმარიშვილმა „ვერსიასთან“ ორ გარდამტეხ პერიოდში ისაუბრა: რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ამ დავების ახალი ეპოპეა დაიწყო და 2012 წელს, როცა ამ ეპოპეის გაგრძელება სცადა. ამ დროს, არჩევნები ახალი „გადახდილი“ იყო, „ოცნება“ — გამარჯვებული, დიდი ამნისტიები იგეგმებოდა, ქიბარ ხალვაში კი პოლიტდევნილების სიაში მოხვდა და გერმანიიდან შემოთვალა, რომ ჩამოვალ, „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლას განვაახლებო. მოქმედი პრემიერი და გავრცელებული ინფორმაციით, ხალვაშის მეგობარი, ბიძინა ივანიშვილი კი ამბობდა, არხი კანონიერ მფლობელს ანუ ქიბარს უნდა დაუბრუნდესო. ივანიშვილი ამტკიცებდა, რომ ხალვაში „რუსთავი 2“-ის 60%-იან წილს ფლობდა, რომელიც მას 2007 წელს წაართვეს. ივანიშვილმა ისიც „დაამღერა“, სააკაშვილი ეროსის მარტო ვერ მოერია და ჯერ ქიბარ ხალვაშს სთხოვა, წილები ეყიდა და მერე მეც მითხრა, კიწმარიშვილის მოშორებაში დამეხმარეო. კიწმარიშვილმა ამ განცხადებებს „ვერსიისთვის“ მიცემულ ექსკლუზივში უპასუხა და არც ის დამალა, რომ ხალვაშზე წილის მიყიდვა ნაციონალებმა აიძულეს, უბრალოდ, ხალვაშს ამ წილში ფული არ გადაუხდიაო, სიცოცხლის ბოლომდე ამტკიცებდა კიწმარიშვილი: **„ქიბარ ხალვაშთან ერთი დავა მაშინ წავაგე, როცა გერმანიაში ნაციონალებს გაექცა, მე კი სააკაშვილთან მოვიაზრებოდი. დასკვნა ხალხმა გამოიტანოს. ახლა მეორე დავის გამართვის პერსპექტივა მაქვს. ღიად ვამბობ — ხალვაში არ წარმოადგენდა არხის რეალურ მფლობელს, ის სააკაშვილის სახე იყო ამ ტელევიზიაში, მაგრამ სააკაშვილს ვერ ვუჩივლებდი და ვუჩივლე ხალვაშს. სამართლებრივად, ხალვაში ჩემთან ტყუის, თუ თავის 60%-ს იბრუნებს, მაშინ 60%-ის მფლობელი დვალი და აქიმიძე როგორღა გამოდიან მართლები? ივანიშვილი კი აცხადებს, რომ ხალვაშიც მართალი კაცია და დვალი-აქიმიძეც, ჰოდა, ეს პროცესი ჭეშმარიტებამდე რა არითმეტიკით მიჰყავს, ივანიშვილს ჰკითხეთ! როგორც ბიძინა ამბობდა, სააკაშვილმა ეროსის მოშორებაში დახმარება სთხოვა, რადგან ეროსი ნერვებს უშლიდა, პრემიერ-მინისტრობა უნდოდა და ა.შ. მერე სააკაშვილმა ქიბარს სთხოვა, ეყიდა „რუსთავი 2“ და გამოვიდა, ივანიშვილი-ხალვაში ერთად იყვნენ ამ პროცესში, რის შესახებაც მაშინ არაფერი ვიცოდი. ივანიშვილი სიმართლეს ამბობს 2004 წელზე, როცა ერთმანეთს შევხვდით და დიდი მადლობა გადამიხადა ქვეყნის გადარჩენისთვის, ხოლო მადლიერების ნიშნად, „მეცხრე არხი“ დახურა და მისი ტექნიკური ბაზა „რუსთავი 2“-ს გადასცა. ეს ის თემებია, რაზეც მემუარებში ვილაპარაკებ. დღეს პოლიტიკურ პროცესში კი არა, ბიზნესმენი ვარ, რომელიც საკუთარი დაზიანებული ინტერესების აღდგენაზე მუშაობს და აწარმოებს ორ პროცესს „გადამგდებების“ წინააღმდეგ! ჩემი პოლიტიკურ სიტუაციაში ჩართვა, აპრიორი, ან მიშას, ან ბიძინას სასარგებლოდ უნდა მოხდეს. ამ დროს, სიმპათია არცერთის მიმართ არ გამაჩნია. ერთი წლის განმავლობაში, როცა ივანიშვილი „რუსთავი 2“-ზე ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, ხმა არ ამომიღია, რადგან მეგონა, პრემიერის რანგში ამ პროცესისადმი უფრო რესპექტაბელური იქნებოდა. თუმცა ჩანს, სურს, არხი ხალვაშს მისცეს, ამიტომ ის ზღვარი გადალახა, რასაც ჩემი დუმილი ჰქვია!“**

კიწმარიშვილმა დუმილი სნორედ „ვერსიისთვის“ მიცემულ კიდევ ერთ სკანდალურ ექსკლუზივში დაარღვია, სიკვდილამდე 1 თვით ადრე, ადგილობრივი არჩევნების წინა დღეს. „რუსთავი 2“-სა და „ოცნებას“ შორის მაშინაც დაძაბულობა იყო. ფარული ჩანაწერების ფრიალი, თავისმართლების პოზიციაში ჩამდგარი უმრავლესობა, დაკითხვაზე დაბარებული ნიკა გვარამია, შუბლაძის წასვლა არხიდან, გვარამიას კაბინეტში აღმოჩენილი „ჟუჩოკი“ და ა.შ. მაშინ კიწმარიშვილმა 2001 წელი, არხზე შევარდნაძის ხელისუფლების შევარდნა გაიხსენა: **„2001 წელს არხზე შევარდნის გამო, ფაქტობრივად, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება შეიცვალა, რამაც 2 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციისთვისაც“ მოამზადა ფონი. 2001 წელს შევარდნაძის გუნდში, ერთმანეთს ორი დაჯგუფება ებრძოდა: მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე, ბადრი პატარკაციშვილი და სხვები, ხოლო მეორე ჯგუფში ნუგზარ საჯაია და სხვა პირები იყვნენ. ამ დროს უკვე პოსტშევარდნაძის პერიოდისთვის მიდიოდა მზადება. 2005 წელს პრეზიდენტს ყველანაირი სამართლებრივი ვადა ეწურებოდა და პოსტზე მისი დარჩენის არანაირი მექანიზმი არ არსებობდა. 2000 წლიდან კი უკვე გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო ბრძოლა. რევოლუციას არავინ გეგმავდა, ყველა შევარდნაძის წასვლისთვის ემზადებოდა, რათა ამის მერე რაც შეიძლება ბევრი რამ მიეღო და დარჩენოდა კარგი სასტარტო პოზიცია არჩევნებზე. ამ გზაზე მთავარი ხელისშემშლელი და მოგების ინსტრუმენტი მედიაში გაბატონებული ლიდერი „რუსთავი 2“ გახლდათ. მისი ხელში ჩაგდებისა თუ განადგურების უამრავი სქემა იხილებოდა. არაერთხელ იყო ჩემთან მოლაპარაკებისა და შანტაჟის მცდელობაც. 2001 წლის ოქტომბერში, კახა თარგამაძის ფრთამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა — ტელევიზიაში შეიჭრა, რასაც ქუჩაში 10 000-ობით ადამიანის გამოსვლა მოჰყვა. შევარდნაძე უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას პირადადაც ვესაუბრე. მითხრა, ვიცოდი, შემოჭრას რომ გეგმავდა, მაგრამ არ მეგონა, მოვლენები ასე თუ განვითარდებოდაო. ცუდ დღეში ჩავარდა მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და იძულებული გახდა, გადამდგარიყო. შედეგად, ქვეყანაში მძიმე კრიზისული ვითარება შეიქმნა და გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ასევე კახა თარგამაძე და ასე შეიცვალა ძალთა ბალანსი ხელისუფლებაში. 1 თვეში კი, მოულოდნელად, თავს იკლავს ნუგზარ საჯაია და ამგვარად, 2 მთავარი მოთამაშე ქრება პოლიტიკური არენიდან. ანუ მაშინდელი ხელისუფლება ისეთ ბომბს შეეხო, არხის სახით, რომელმაც მერე მთელი პროცესი ააფეთქა. 2001 წელს, სწორედ ამ პროცესების წიაღში დაიბადა სააკაშვილი ახალ ლიდერად და ვითარება სათავისოდ გამოიყენა... დღეს „რუსთავი 2“-ის საქმე სასამართლოში, ფაქტობრივად, გაყინულია. 2009 წელს ერთი პროცესი უკვე წავაგე, დღეს პროცესს ჩემი ორი სხვა პარტნიორი აწარმოებს, საჩივარი პროკურატურაში აქვთ შეტანილი და ე.წ. მოკვლევა უკვე 3 წელია გრძელდება. მოწმის სახით დიდი ხნის წინ დამკითხეს, გამოძიებას ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია გადავეცი და ინტერესით ველი მოვლენების განვითარებას. მას მერე იცვლებიან გენერალური პროკურორები, პროკურორები, გამომძიებლები და საქმე ისევ ისე დევს. ჩვენი თემიდა იმდენჯერ გააუპატიურეს ბოლო წლებში, ახლა მისი ბუნებრივი მდგომარეობა ახალი მფარველის ძიებაა. ეტყობა, ეს ახალი მფარველი ახალი ხელისუფლებაა. უკვე 10 თვეა, უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ იღებს, დაუშვას თუ არა განხილვაზე ჩემი სარჩელი“.**

ინტერვიუდან 1 თვეში კიწმარიშვილის გვამი მისი სახლის ავტოფარეხში, მანქანაში იპოვეს და მალე „თემიდამაც გაიღვიძა“ — „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი დაიძრა და დიდი ალბათობით, როგორც მისი დღევანდელი უფროსი, ნიკა გვარამია ვარაუდობს, ქიბარ ხალვაშის გამარჯვებითაც დასრულდება. განმეორდება თუ არა ისტორია და დღესაც ისევე დაუდგება თუ არა არხს გვერდით მოსახლეობა, ამას 26 ოქტომბრისა და ფინალური სასამართლო პროცესის შემდეგ გავიგებთ.

უზენაესმა სასამართლომ დაკითხვაზე გია გაჩეჩილაძე დაიბარა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„რატომ აკოტრებენ „მაესტროს“, როცა მისი გადარჩენა შესაძლებელია? რატომ მეუბნებოდნენ აქამდე უარს მოლაპარაკებაზე? რა გეგმა აქვთ ისეთი, რომელშიც მე ვერ ვეწერები? რატომ არაა დღეს „მაესტროს“ საკითხი განხილვის ღირსი? რატომ საუბრობენ მხოლოდ „რუსთავი 2“-ზე? მაშინ, როცა სხვა ტელევიზიებს მილიონებს პატიობდნენ, მე „მაესტროს“ საკანში ბომბს მიგდებდნენ! ისევ აღრეულია თავისუფალი სიტყვა და პროპაგანდა ერთმანეთში. ყველაფერს პოლიტიკური სპეკულაციისა და ორმაგი სტანდარტის სუნი ასდის. საზოგადოება ისევ სიმართლის ძიებაშია. მე ბოლომდე ვიბრძოლებ „მაესტროს“ გადასარჩენად“, — ეს იმ მოკლე, მაგრამ ემოციური განცხადების ფინალია, რომელიც „უცნობმა“, გია გაჩეჩილაძემ 22 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის ხმაურიანი სასამართლო პროცესის დღეს გაავრცელა. მართლაც, დღეს „მაესტროზე“ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო სპექტრში თითქმის არავინ საუბრობს, არადა, ალბათ, ძალიან ცოტამ იცის, რომ ეროსი კიწმარიშვილის დავა „მაესტროსთან“, რომელიც ახლა უზენაეს სასამართლოშია, გრძელდება და კიწმარიშვილის მოპასუხე მხარეებს სასამართლოს უწყისები 2 კვირის წინ გადაეცათ. ცოტამ იცის, რომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული კომპანია „მაესტროს“ თავის სარეკლამო დროში 10 მილიონს უხდიდა, „უცნობმა“ კი არხზე „იმედი“ მიიყვანა, 12-მილიონიანი შეთავაზებით, რაზეც არხის მესვეურებმა უარი თქვეს. არც ის ინფორმაციაა გავრცელებული, რომ „მაესტროს“ 15%-იან წილს მამუკა ღლონტი ფლობს, რომლის ადვოკატმაც 1 ოქტომბერს ასევე მოაწერა ხელი „მაესტროს“ გაკოტრებას და კიდევ ერთი — თუკი „მაესტროზე“ მიუკერძოებელი აუდიტი ჩატარდა, შესაძლოა დადგინდეს, რომ არხზე ფული 25%-იანი წილის მფლობელ კოტე გოგელიასთან ერთად, ბიძინა ივანიშვილმაც მიიტანა. „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინტერვიუ გია გაჩეჩილაძის ადვოკატ ირაკლი კორძახიასთან ჩაწერა.

— ბოლო მონაცემებით, ვინ არიან „მაესტროს“ მეწილეები და რამდენ პროცენტს ფლობს გია გაჩეჩილაძე?

— გია გაჩეჩილაძეს ნამდვილად 25%-იანი წილი აქვს „მაესტროში“, ასევე 25%-ს ფლობს მაკა ასათიანი, რომლის უკანაც, რეალურად, მისი ქმარი კოტე გოგელია დგას. მამუკა ღლონტს აქვს 15%. მართალია ამბობს, მართვაში გადავეცით, მაგრამ წილი დღესაც მის სახელზეა გაფორმებული. მისი სახელით ესწრებოდა დამფუძნებელთა კრებას ადვოკატი პაატა კიკვიძეც, რომელიც დამფუძნებელთა ე.წ. ძველ ჯგუფს წარმოადგენს — 15 %-ის მფლობელ ლევან ჩიკვაიძეს, 15%-ის მფლობელ გიორგი ებრალიძესა და 5 %-ის მფლობელ ეკა აკობიას. ე.წ. ძველ დამფუძნებლებს დღეს 50% აქვთ. ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ისინი არიან იმ კომპანიის უკან, რომელმაც „მაესტროს“ ლოგო უსასყიდლოდ მიიღო. ეს კომპანია, სპეციალურად ამ გარიგებისთვის, 2 კვირით ადრე დააფუძნეს.

— თავიდანვე გავარკვიოთ, რა ხდებოდა „უცნობსა“ და მაკას შორის. ჯერ გია გაჩეჩილაძეს ჰქონდა 50%, რომლიდანაც 25% მაკას მიჰყიდა, მერე თქვა, მეორე 25%-იც არ მინდა, მაკას მივეციო და საერთოდ გაქრა პროცესებიდან. რა ფორმით მისცა, მიჰყიდა თუ გადასცა, ვერ გავიგეთ. დღეს მას ისევ 25% აქვს. რა მოხდა მათ შორის?

— როგორც ჩემთვისაა ცნობილი, გია გაჩეჩილაძე საერთოდ არ მონაწილეობდა „მაესტროსთან“ დაკავშირებულ პროცესებში და მას წილები მართვაში ჰქონდა გადაცემული ბაჩო კიკაბიძისთვის, რომელიც საერთო კრებებზე წარმოადგენდა. 2011 წელს, ერთ-ერთ კრებაზე გადაწყდა, რომ „მაესტროს“ უნდა აეღო 30 მილიონამდე სესხი და ის ფული უნდა აღრიცხულიყო, რაც სავარაუდოდ, გოგელიას მხარეს ჰქონდა შემოტანილი „მაესტროში“.

— ამ კრებებზე რატომ არ დადიოდა გაჩეჩილაძე, ანუ წილი რატომ ჰქონდა გადაცემული?

— ეტყობა, მანამდე არ სურდა ჩარევა.

— და ახლა რატომ მოისურვა?

— აღმოაჩინა, რომ მის ზურგსუკან, „მაესტროს“ წინააღმდეგ მოქმედებდნენ, გაუსხვისებიათ ლოგო, რის შესახებაც საქპატენტიდან 2 კვირის წინ მიიღო წერილი. გია მინიმუმ იმას იმსახურებდა, მისთვის აზრი ეკითხათ. გარდა ამისა, წილის მართვაში გადაცემის ხელშეკრულების მიხედვით, ჩიკვაიძეს, ღლონტს, ებრალიძესა და აკობიას ჰქონდათ ოპციონი, რომ გიას ეს 25%-იანი წილი 2012 წლის 10 დეკემბრამდე სიმბოლურ თანხად, 400 ლარად ეყიდათ. თუმცა არ იყიდეს, რადგან იმ დროს ტელევიზია მომგებიანი არ იყო.

— მაგრამ აქ არის ერთი არაიურიდიული დეტალი, რომელიც ეჭვს ბადებს: ყველამ იცის „უცნობისა“ და მაკა ასათიანის ნათესაური კავშირის შესახებ და უცებ, ისინი ერთმანეთს ეომებიან. ეს კონფლიქტი ფარსს ჰგავს — რატომ არ შეიძლება, „მაესტროს“ სარფიანად გასაყიდად შეთანხმებულად იმოქმედონ?

— ეს პროცესი ფარსი რომ არ არის, პირველ რიგში, სწორედ „უცნობის“ საჯარო განცხადებები ამტკიცებს. ასევე, იგი არ ეთანხმება „მაესტროს“ გაკოტრებას. არც მაკასა და მისი წარმომადგენლების განცხადებებია ჩვენდამი კეთილგანწყობილი და ბოლოს, 2 სარჩელი გვაქვს შეტანილი სასამართლოში: ერთში ვითხოვთ „მაესტროს“ გაკოტრების საქმის შეჩერებას და მეორეში — ლოგოს დაბრუნებას. პირველი სარჩელის უშუალო მოპასუხე „მაესტროს“ დირექტორი ბაია გადაბაძეა, მეორესი კი — ღლონტთან ასოცირებული კომპანია, რომელიც ლოგოს გვედავება. არაა გამორიცხული, თუ არხის გაკოტრების შეჩერების შესახებ ჩვენს საჩივარს არ დააკმაყოფილებენ, უშუალოდ კოტე გოგელიას წინააღმდეგ დავიწყოთ მოქმედება და მისი შენატანის რეალური ღირებულების დადგენა მოვითხოვოთ. სწორედ მან აუკრძალა გადაბაძეს „იმედისთვის“ „მაესტროს“ სარეკლამო დროის მიყიდვა, უარი თქვა გია გაჩეჩილაძის წინადადების განხილვაზე და ა.შ.

— ანუ გინდათ, დაამტკიცოთ, რომ გოგელია არხს მიზანმიმართულად აკოტრებდა?

— დიახ, ასე ჩანს. ამ გეგმის უკან არის მიზანი, გია ამ პროცესებიდან „ჩახსნან“ და თამაშგარე მდგომარეობაში ჩააყენონ. ასევე, ძალიან საეჭვო გარიგება შედგა ვი თი ბი ბანკთან, 2015 წლის ივლისში, რომლის მიხედვით, მაკა ასათიანის კომპანია იღებდა 5 მილიონ დოლარამდე საკრედიტო ხაზს და „მაესტრო“ თავდებად უნდა ჩამდგარიყო. ჩვენ ეს გარიგება გავაპროტესტეთ, რადგან არც ერთი თეთრი არ შემოდიოდა არხზე და შესაძლოა, ბანკს მთელი „მაესტრო“ წაეღო. ფაქტობრივად, ეს გარიგება გია გაჩეჩილაძემ ჩაშალა, რის გამოც ყველა ძალიან გაბრაზებდა.

— რას ნიშნავს, რუსულ ბანკთან ერთად, „მაესტროს“ აუქციონზე გატანის მცდელობა, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის, კოტე გოგელიას მიერ, თან წინასაარჩევნოდ. რეალურად, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?

— ბანკს ტელევიზიის უშუალო ფლობა ეკრძალება. თუმცა შეუძლია, არხი აუქციონზე გაყიდოს. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ამ ყველაფრის უკან ვიღაც იდგეს, მაგრამ, ფაქტია — გოგელიას სურს, არხი ხელში გია გაჩეჩილაძის გარეშე ჩაიგდოს. თუ გაკოტრების გეგმა წარმატებული აღმოჩნდა, „მაესტრო“ აუქციონის ჩაქუჩით გაიყიდება. ალბათ, მერე ვნახავთ მყიდველსა და იმას, ვინ იდგება ამის უკან.

— „უცნობს“ ე.წ. ანტიკრიზისული გეგმა ჰქონდა, რომლის მიხედვით, მას „მაესტროზე“ 10-მილიონიანი საბანკო გარანტია მოჰქონდა არხის გადასარჩენად. გვითხარით, ვინ დგას გაჩეჩილაძის და ამ 10-მილიონიანი ინვესტიციის უკან?

— ჯერ ერთი, გიას დამსახურება იყო, რომ „იმედის“ მიერ „მაესტროს“ სარეკლამო დროის ყიდვის შეთავაზება, რადგან არ სურდა, არხის დრო „რუსთავთან“ დაკავშირებულ კომპანიას ეყიდა და განეკარგა. მან წარადგინა ალტერნატიული, უფრო სარფიანი წინადადება, რომლითაც ის ტელევიზიას 12 მილიონს სთავაზობდა, როცა „რუსთავი“ დაახლოებით 10 მილიონს სთავაზობდა. ამაზე უარი თქვეს. გიას წინადადებით, „მაესტროს“ პირველ წელს გავიყვანდით მოგებაზე, მეორე წელს, მისი მოგება იქნებოდა მინიმუმ, 1 მლნ დოლარი, ხოლო უკვე მესამე წელს — 3 მლნ დოლარი. არხის ნორმალურად მართვის პირობებში, მას მოგებაზე გასვლა შეეძლო და გია იღებდა ამ ვალდებულებას. ასე „მაესტრო“, საშუალოდ, დაახლოებით 15 მლნ დოლარის ღირებულების კომპანია გახდებოდა. გარდა ამისა, არხის ბალანსზე არსებულ ვალს, 12 მლნ დოლარს, რომლის გასტუმრების ბოლო თარიღი 2019 წელია, კომპანია გადაიხდიდა. გიას ეს 10-მილიონიანი გარანტია მოჰქონდა საქართველოს ერთ-ერთი კომერციული ბანკიდან. ამბობდა, დავიწყოთ მოლაპარაკება, გავაკეთოთ განზრახულებათა ოქმი, რომლის საფუძველზე, ბანკიდან 1 კვირაში 10 მლნ-ს მოვიტანო. გიას შეეძლო ეთქვა, ვინ იყო მზად ბანკში ქონების ჩასადებად, მაგრამ მეორე მხარე მოლაპარაკების მაგიდაზე საერთოდ არ დაუჯდა. იგი ინვესტორს მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ დაასახელებდა.

— თუკი ვამბობთ, რომ გოგელია საეჭვო გარიგებაშია და არ ვიცით, ვინ დგას მის უკან, რატომ ვერ მივიტანთ ეჭვს გაჩეჩილაძეზეც იგივე წარმატებით, რომელსაც იდუმალი ინვესტორი 10 მილიონს აძლევს?

— მაშინ დაჯდეს გოგელია მოლაპარაკების მაგიდასთან და თქვას თავისი პირობები. მას ახლაც გავუგზავნეთ შეტყობინება და 7 ნოემბერს დავნიშნეთ შეხვედრა. თუ ვერ ახერხებს ქვეყანაში ჩამოსვლას, მაშინ სკაიპით ჩაერთოს. ისე, გადმოცემით ვიცი, რომ გოგელია აწარმოებდა მოლაპარაკებას ვიღაცასთან „მაესტროს“ გაყიდვაზე და თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. თუმცა ამ თემაზე საუბარი არ შემიძლია.

— ჩვენი ინფორმაციით, ინვესტორი, რომელიც გია გაჩეჩილაძეს თავდებში უდგება და 10 მილიონს აძლევს, ცნობილი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილია. ასეა?

— ამას გამოვრიცხავ. პირდაპირ გეუბნებით, გიას მხრიდან, ჩხარტიშვილი არავითარ კავშირში არაა.

— აბა, გოგელიას მხრიდან?

— არ ვიცი, თუმცა ვერაფერს გამოვრიცხავ.

— ეს ალოგიკური იქნებოდა.

— მე არ მაქვს არავითარი საბუთი, მაგრამ ერთი, რაც შემიძლია დაგიდასტუროთ, ისაა, რომ ჩხარტიშვილი და გაჩეჩილაძე ერთმანეთთან კავშირში არ არიან.

— მაშინ ახლა ის დავაზუსტოთ, 2010 წელს ლევან გაჩეჩილაძემ ორი მილიონი რა მიზნითა და სტატუსით მიიტანა „მაესტროზე“?

— სწორედ ლევან გაჩეჩილაძის ზეწოლისა და ლობირების შედეგად მისცეს „მაესტროს“ მაუწყებლობის ლიცენზია, სრულიად უსასყიდლოდ. მისი ინტერესი იყო, ჰქონოდა თავისუფალი და საკუთარი აზრის გამოხატვის ადგილი. ხელისუფლებაში მოსვლა უნდოდა და სჭირდებოდა ტრიბუნა, რომელიც მხოლოდ მისი კი არა, ზოგადად, თავისუფალი ტრიბუნა იქნებოდა. შეიძლება ლევანმაც დააყენოს თავისი იურიდიული მოთხოვნა და თქვას, თუ გოგელიამ მიიტანა ფული და მისი ფული ფულად ითვლებაო, მაშინ ჩემი ფული ფული რატომ არ არისო?! ხოლო მორალურად, ეს უბრალოდ მისი წვლილი იყო არხის გადარჩენაში.

— და სად არის მთელ ამ სქემაში ეროსი კიწმარიშვილი? მას „უცნობის“ ჩათვლით, ყველა 4,5 მილიონს ედავებოდა, ის კი აქეთ დავობდა, ჩემი ვალი გაქვთ 10 მილიონიო. მისი მიტანილი არხზე არაფერი იყო?

— ეს დავა გრძელდება. ჩვენ მასში უშუალოდ არ ვართ ჩართული, მაგრამ ერთი ვიცი, რომ გია გაჩეჩილაძემ 2 კვირის წინ მიიღო უწყება უზენაესი სასამართლოდან, სადაც ეროსი კიწმარიშვილის პროცესზე იბარებენ. ოღონდ, გია უშუალოდ არ ფიგურირებს ამ დავაში. როგორც ჩანს, ის ეროსი კიწმარიშვილმა მოდავე მხარეთა შორის ჩაწერა. თუმცა გია გაჩეჩილაძე არც ამ დავაში მონაწილეობს და არც პროცესზე მიდის. ეროსის კი უფლება ჰქონდა, გიაც მიეწერა მოპასუხედ.

— როცა კიწმარიშვილი „მაესტროს“ ღობეზე გადაძვრა, თქვა, რომ ღლონტსა და გოგელიას მისი „მოტეხვა“ უნდოდათ, რომ არხზე თანხა თავადაც მიიტანა და აუდიტის ჩატარებას ითხოვდა. მაშინ რატომ დუმდა გია გაჩეჩილაძე და დღეს რატომ ითხოვს მხარდაჭერას, როცა მარტო დარჩა ბარიკადების მეორე მხარეს?

— აუდიტი „მაესტროს“ ფორმალურად ჰყავს — „ბაკაშვილი და კომპანია“, მაგრამ ვითხოვთ ყველაზე სერიოზული ოთხეულიდან, რომელიმე აუდიტორული კომპანიის შესვლას, რომელიც საკუთარ რეპუტაციას ეჭვქვეშ არასდროს დააყენებს. ამით იმას დავამტკიცებთ, აქვს თუ არა გოგელიას 12 მილიონი მიტანილი ამ არხზე. ხოლო თუკი მართლა აქვს, მარტო თვითონ თუ სხვა სპონსორების თანხაც შედის ამ 12 მილიონში?! მაქვს ინფორმაცია, რომ სხვა ადამიანებმაც მიიტანეს ფული „მაესტროზე“. საქმე ეხება მაშინ ოპოზიციაში მყოფმა პირებს, რომელთაც ამ არხზე გული შესტკიოდათ, სააკაშვილის რეჟიმს არჩევნების გზით ეწინააღმდეგებოდნენ და ჰქონდათ დიდი ქონება.

— გასაგებია, „ოცნებასა“ და ივანიშვილზე საუბრობთ.

— ვერაფერს გეტყვით. უბრალოდ, გვინდა გავარკვიოთ, ვისი თანხებია მიტანილი „მაესტროზე“ გოგელიას გარდა. აი, ამიტომ ვითხოვთ აუდიტს. მათ შორის, აუდიტმა შესაძლოა ნახოს, რომ ეროსი კიწმარიშვილსაც აქვს „მაესტროზე“ თანხა მიტანილი და ამასაც აღრიცხავს.

— ეს კიწმარიშვილი-მაესტროს დავაზეც ხომ აისახება?

— აისახება აუდიტის დასკვნაში და ჩვენ მას საჯაროს გავხდით! ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ შესაძლოა, აუდიტს ბაია გადაბაძემ საბუთები არ მისცეს. ჩვენ მას არაერთხელ მოსთხოვეთ საბუთები და არ გვაძლევს, თუმცა არც ამის უფლება აქვს და არც იმის, ლოგო უნებართვოდ გაასხვისოს. ახლა „მაესტროს“ ბალანსზე 10 მილიონის აქტივებია, 1 სექტემბრის მდგომარეობით. ე.ი. შესაბამისად, „მაესტროს“ რაღაც ქონება ჰქონდა. აუდიტის დასკვნაში ასევე შევა, ვინ არიან „მაესტროს“ კრედიტორები. ვნახავთ, მხოლოდ გოგელიაა კრედიტორი და მას აქვს არხის გაკოტრების მოთხოვნის ექსკლუზიური უფლება, თუ სხვებსაც. თუმცა ვიცი, რომ მამუკა ღლონტსაც სურს არხის გაკოტრება. მან დანიშნა ადვოკატი, რომელმაც 1 ოქტომბერს ხელი მოაწერა განცხადებას „მაესტროს“ გაკოტრების შესახებ. გია გაჩეჩილაძემ შესაძლოა, უჩივლოს როგორც გოგელიას, ისე ღლონტს და ყველა პარტნიორს, ვინც „მაესტროს“ გაკოტრება მოითხოვა და არხი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.

„გვარები და ხელწერა იგივეა – ოპოზიცია დღესაც, როგორც 90-იან წლებში, პროვოკაციაზე ხელისუფლების წამოგებას ცდილობს“



რატომ ელის ბუნტსა და სისხლისღვრას სამხედრო ნაწილებში და რას უამბობს „ვერსიას“ კიტოვანის გვარდიის მთავარი მეიარაღე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რამდენიმე დღის წინ „ვერსიაში“ თენგიზ კიტოვანის აქამდე გამოუქვეყნებელი ინტერვიუ გავიდა, რომელიც ჟურნალისტმა დოდონა კიზირიამ მასთან სამოქალაქო ომის პერიოდში ჩაწერა. ინტერვიუს გამოხმაურებაც მოჰყვა და საინტერესო ზარი მივიღეთ ადამიანისგან, რომელიც გვარდიის შექმნის პირველივე დღიდან, ამ მოვლენებში აქტიურად იყო ჩართული. დღეს გივი კალმახელიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში მძღოლად მუშაობს, 90-იან წლებში კი გვარდიის მთავარი მეიარაღე იყო. იგი 269 სასწავლო ავტომატით, 19 ტყვიამფრქვევით, 18 დანითა და ერთი „მაქსიმკით“ გვარდიის მშენებლობის ისტორიას გვიამბობს. აცხადებს, რომ კიტოვანმა შერიგებისა და ომის თავიდან აცილების არაერთი შანსი გაუშვა ხელიდან და იმ ადამიანებზე საუბრობს, ვინც მაშინაც და დღესაც, უარყოფითი როლის შესრულებას ცდილობს ქვეყნის ისტორიაში. რა პარალელებს ხედავს მაშინდელ და დღევანდელ ვითარებას შორის და რატომ აფრთხილებს ხელისუფლებას — „ვერსიას“ გივი კალმახელიძე ესაუბრება.

— მოსკოვის პუტჩამდე ცოტა ხნით ადრე, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გამოვიდა და საჯაროდ განაცხადა, ჯარს ვკრებთ, ჯარისკაც ბიჭებს კი ხელფასები და სრული ხელშეუხებლობა ექნებათო. ასე შეიქმნა პირველი გვარდია, რომლის მეიარაღეც მე ვიყავი. მაშინ გვარდია ხელისუფლებას ემორჩილებოდა, თუმცა მოგვიანებით, ის თენგიზ კიტოვანმა დაისაკუთრა. კიტოვანი პარლამენტის წევრი იყო და მხოლოდ გვარდიის ფორმირების კურირება ევალებოდა. ოფიციალურად, გვარდიაში არაფერს წარმოადგენდა. ასე მივედი გვარდიაში და იარაღი ჩავიბარე. მანამდე, საბჭოთა კავშირის ჯარში, 14 წელი ვიმსახურე, ჩემი ძმაც სამხედრო იყო. 1985 წელს ჯარს თავი დავანებე. წლების მერე კი, ისევ ჯარში აღმოვჩნდი, თუმცა – უკვე ქართულში. გვარდიის აშენება მოხალისეობიდან დავიწყეთ და ნელ-ნელა იარაღიც შევაკოწიწეთ. სულ 269 სასწავლო ავტომატი, 19 ტყვიამფრქვევი, 18 დანა და ერთი „მაქსიმკა“ გვქონდა. ჯარისკაცები ცოტანი ვიყავით, ჩვენთან არ მოდიოდნენ, რუსების ეშინოდათ. ვითარებაც ძალიან დაძაბული იყო, განსაკუთრებით, ცხინვალში. მახსოვს, ქალებს აუპატიურებდნენ, ბავშვი მოკლეს აკვანში, მოსახლეობას ანიოკებდნენ, ყაჩაღობდნენ და ვიცოდით, გვარდიის შექმნის ერთ-ერთი მიზანი ცხინვალის მოსახლეობის დახმარებაც იყო. გადაწყდა, გლდანის სასერჟანტო სკოლაში უნდა შევკრებილიყავით, სადაც თენგიზ ლანჩავა, გია უჩავა, რომელმაც მერე გამსახურდიას უღალატა, ასევე, დღევანდელი პარლამენტის მანდატურების უფროსი, მურთაზ შალუაშვილი, პოლკოვნიკი ზაურ ლომიძე და სხვები მოვიდნენ და იარაღი მოიტანეს. კიტოვანიც იქ იყო და რომ დამინახა, მიცნო, რადგან ცხინვალის აეროპორტი ჩემი აშენებული იყო და ყველაფერი ზეპირად ვიცოდი. მითხრა, შენს გარდა ვის უნდა ვენდოო და მთელი იარაღი ჩამაბარა.

— ანუ კიტოვანის გვარდიის წევრი იყავით?

— თავიდან ასეც იყო, მაგრამ ეს ე.წ. კიტოვანის გვარდია არ გეგონოთ. პირველად, ეს ფორმირება ხალხის დასახმარებლად შეიქმნა. მხოლოდ მოგვიანებით გაყო კიტოვანმა გვარდია და მომხრეებთან ერთად გაიქცა. ამ პერიოდში, პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა ადამია იყო, რომელიც „მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან“ და მხედრიონთან ერთად დანაშაულს სჩადიოდა.

— კონკრეტულად რა დანაშაულს სჩადიოდა „კოსტავას საზოგადოება“ — ოპოზიციაში რომ იყო, იმას გულისხმობთ?

— იცით, რა, ვაჟა ადამია ხელმძღვანელობდა ქართულ სოფლებში ყაჩაღობას, იარაღის შეტანას. მერე, ერედვის მოსახლეობამ ადამია სოფლებში აღარ შეუშვა. კიტოვანი კი მხედრიონსა და კოსტავას საზოგადოებას ეწინააღმდეგებოდა. ადამია ოპოზიციაში მას მერე გადავიდა, რაც ის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს. ზუსტად ამ პერიოდს დაემთხვა პრეფექტების დანიშვნა. კასპში უთანხმოება მოხდა. არ უნდოდათ, ნინო მირიანიშვილი გამხდარიყო მათი პრეფექტი. ჩვენ კი, კიტოვანმა, გამსახურდიას დაუკითხავად, მოტყუებით გაგვიშვა კასპში, ვითომ, ეთნოკონფლიქტის დასაშოშმინებლად. კასპში მე, ლანჩავა, უჩავა და სხვა გვარდიელები წავედით და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში, კიტოვანს ადგილობრივების დასჯა უნდოდა. მივხვდით, რაც ხდებოდა, დავყარეთ იარაღი და წამოვედით. თენგიზ კიტოვანის ბრძანება არ შევასრულეთ! ამის მერე დაიწყო გარჩევები, ვინ არ დაემორჩილა კიტოვანს, ვინ გაუწია წინააღმდეგობა და ა.შ.

— ამ დროს, კიტოვანი გამსახურდიას აღარ ემორჩილებოდა?

— არა, ჯერ ეს დაპირისპირება დაწყებული არ იყო. აი, ამის მერე დაიწყო კიტოვანმა გვარდიის გაძლიერება. ზუსტად ამ დროს მოხდა მოსკოვის პუტჩი და საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. ქართულ ჯარში სამსახური უკვე სახიფათო გახდა. თუმცა თუკი ქართულ ჯარს შინაგან ჯარს დავარქმევდით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარებოდა, მაშინ რუსები მას არ შეეხებოდნენ. ასეც მოხდა — გვარდია შს სამინისტროს დაუქვემდებარეს. კიტოვანი კი რკონში წავიდა, რადგან ხელისუფლების შიგნით უკვე რაღაც დაპირისპირება დაიწყო. რკონიდან დაბრუნების შემდეგ, კიტოვანი შავნაბადაზე გადავიდა და ამ დროს, გვარდიიდან ბიჭებმაც დაიწყეს წამოსვლა.

— ცნობილია, რომ კიტოვანი ამის გამო მათ მოღალატეებს ეძახდა და სასტიკად აწამებდა. ეს მართალია?

— ყველაფერს მოგიყვებით, არავის დავინდობ! ზოგი ცემით დატოვეს გვარდიაში, ზოგი დაასახიჩრეს, ზოგს დაემუქრნენ, ზოგს წყლიან კასრებში აყოფინებდნენ თავს და ა.შ. ამ ყველაფერს ექიმი კაცი, გია აბესაძე უყურებდა და მას მერე, რაც ამ არაადამიანურ წამებას შეესწრო, პარლამენტის წინ თავი დაიწვა. ეს ცნობილი ამბავია. ასე გაიყო გვარდია და მეც, ჩემს ბევრ მეგობართან ერთად, გამსახურდიას მხარეს დავრჩი. 1991 წლის აგვისტოში, მთავრობის სახლში, გენერალი გუჯარ ყურაშვილი მოვიდა. იგი რუსულ ჯარში ბრიგადის მეთაური იყო, წარმოშობით, კასპელი და რომ ნახა, საქართველოში რაც ხდებოდა, ჩამოვიდა, განაცხადა, მინდა, ჩემს ქვეყანას გამოვადგე და გამსახურდიას შემახვედრეთო. გამსახურდიას ესაუბრა და ცხინვალში მისი კომენდანტად დანიშვნა დაიგეგმა, თუმცა კიტოვანმა შეგვიშალა ხელი, რადგან ზუსტად 2 სექტემბერს, თბილისის ზღვაზე დაბანაკდა და უკვე უმართავი გახდა. გამსახურდიამ გუჯარ ყურაშვილს სთხოვა, გვარდია ჩაებარებინა. ჩვენს გარშემო შემოიკრიბნენ ლოთი ქობალია, ახალციხის ბატალიონი, თელავის ბატალიონი. გუჯარმა თქვა, ქართულად ვერ ვლაპარაკობ, თბილისის ქუჩებიც კი არ ვიცი, ამიტომ ლოთი ქობალია იყოს გვარდიის ხელმძღვანელი და მე მოადგილე ვიქნებიო. სწორედ ამ დროს ოპოზიციაც სერიოზულად გვიტევდა — ედეპემ, ირაკლი წერეთელმა, გია ჭანტურიამ და სხვებმა გამსახურდიას ჩამოგდება მოისურვეს. ოპოზიციის ნაწილი უკვე კიტოვანთანაც დარბოდა. კიტოვანის ქმედებები უნდა აღგვეკვეთა და გვარდიის მობილიზება დავიწყეთ. გამოვაცხადეთ ოპერაცია, რომელსაც გუჯარ ყურაშვილი ხელმძღვანელობდა და ავედით ზღვაზე, კიტოვანთან. იგი არ ჩაგვბარდა, უკვე ალყაში გვყავდა და ყველაფერი უსისხლოდ მიდიოდა, როცა გამსახურდიას ბრძანება მოვიდა, ალყა მოხსენით და წამოდით, შეტაკება არ უნდა მოხდესო. არ უნდოდა სისხლი დაღვრილიყო და ჩვენს შორის დაპირისპირება რუსებს სათავისოდ გამოეყენებინათ. ამასობაში ოქტომბერიც მოვიდა და უფრო დამძიმდა ვითარება — თეატრის შენობიდან ერთი გასროლით, შუა რუსთაველზე გია ტეტელაშვილი მოკლეს.

— კიტოვანი ყვება, რომ მას ბევრჯერ სურდა შერიგება გამსახურდიასთან. ეს რატომ ვერ მოხერხდა?

— ეს რომ მართლა ნდომებდა, შანსი ბევრჯერ ჰქონდა, მაგრამ არ გამოიყენა. თუმცა, შიდასამზარეულოში რა ხდებოდა, ნაკლებად ვიცი. ფაქტია, სიგუას მოხსნის შემდეგ გამწვავდა ურთიერთობა გამსახურდიასა და კიტოვანს შორის. კიტოვანი რუსეთმა გააძლიერა, იარაღი მისცეს, დააფინანსეს. არშემდგარი ქვეყანა იყო ჯერ საქართველო, რომელსაც ცალკე რუსეთის იმპერია ებრძოდა, ცალკე ქვეყნის შიგნით ვიყავით გაყოფილები. კიტოვანთან ირინა სარიშვილი, დევი ჭანკოტაძე, პაატა დათუაშვილი დარბოდნენ. ამასობაში, პირველ პოლკში მკვლელობა მოხდა. ტანკისტი კაცი, გვარდიის წევრი ნოდარ ჩხუბიანაშვილი მოკლეს და გვამი ცხინვალში დააგდეს, ვითომ, იქ მოკვდა. პირველ პოლკს გია ყარყარაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ კაცს, ჩხუბიანაშვილს, ცილი დასწამეს, ინფორმაცია გაჰქონდაო. დიახ, სწორედ ყარყარაშვილმა მოკლა იგი! ასე მოკლეს ხიზანიშვილიც, რომელსაც „ციმბირას“ ვეძახდით. ყველას ხოცავდნენ, ვინც წინააღმდეგობას უწევდათ. ჩვენ კი, თითით საჩვენებელი ჯარი ჩამოვაყალიბეთ. მას შინაგანი ჯარი ერქვა და სულ პატიოსანი ხალხი გვყავდა, სადღაც, 150 კაცამდე. სულ რამდენიმე ჩამოწერილი ტანკი გვქონდა და ერთიც ე.წ. დანიანი ტანკი, რომლის აწყობაც გვინდოდა. ჯარის მშენებლობას გუჯარ ყურაშვილი ხელმძღვანელობდა. როცა რუსმა სამხედროებმა ქალაქის ტერიტორია დატოვეს, ტექნიკა და შენობები ჩვენ გადავიბარეთ, რადგან საქართველოს მაშინდელ ცეკას, ანუ ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ასევე, დაგვრჩა ერთი ნახმარი „ბეტეერი“. მოკლედ, ჩვენი ტექნიკის აწყობა გვინდოდა და სატანკო ქარხანაში მივედით, მოსკოვის გამზირზე. იქ ტანკის ძრავი არ მოგვყიდეს, დაგვიჭერენო და ბედად, ჩემი ძველი ნაცნობი, ვიცე-პოლკოვნიკი შეგვხვდა, რომელმაც ავღანეთში ნაომარი ახალი ტანკები შემოგვთავაზა. თითოში კი 10 000 მანეთი მოითხოვა. ეს ამბავი გამსახურდიას მოვახსენეთ და 10 ტანკის ყიდვა გადაწყდა. 10 ტანკში 100 000 მანეთი უნდა გადაგვეხადა და იმ კაცს შევუთვალეთ, 50 000 მანეთად მოგვეცი-თქო. მოლაპარაკება შედგა, თუმცა ფულის გადახდა ვეღარ მოვასწარით, რადგან სულ ცოტა ხანში, ვითარებაც დაიძაბა და ამ 50 000 მანეთისთვის აღარავის ეცალა. მანამდე კი რკინიგზის მაშინდელ უფროსთან, რემი ვაშაკიძესთან მოლაპარაკება მოვასწარით. რემიმ გვითხრა, თუ იმას მოვესწარი, რომ საქართველოს თავისი ტანკი ეყოლება, სულ მწვანეზე გატარებთო. ეს ტანკები ვაგონებზე დავტვირთეთ და ათივე მატარებლით ჩამოვიტანეთ. ტექნიკა გუდაუთის ქუჩაზე განვათავსეთ. ეს ტანკები ავაწყვეთ, ავამუშავეთ, საჭირო ნაწილები ვიყიდეთ.

— და რისთვის ემზადებოდით ამ 10 ტანკით?

— უბრალოდ, ჯარს ვაძლიერებდით. ეს ამბავი კიტოვანის ყურამდეც მივიდა. 1991 წლის 4 დეკემბერს, თბილისის ზღვიდან თავს დაესხნენ შინაგან ჯარს, გაიტაცეს ჩვენი ტექნიკა და ბიჭები ტყვეებად აიყვანეს. აი, ასე მოიქცა კიტოვანი სინამდვილეში, არადა, ამბობდა, შერიგება მსურსო. გამსახურდიამ მე და ერთი ჯარისკაცი, რეზო ბროძელი გაგვიშვა ზღვაზე კიტოვანთან. მას ტექნიკის დაბრუნება მოვთხოვეთ. ორივეს გვიცნობდა და იქ დარჩენა შემოგვთავაზა. მე მითხრა, ქართული ბატალიონის უფროსად დაგნიშნავო, რეზოსაც რაღაც შესთავაზა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ დავრჩით. გვარდიის რიგებში ჩვენი ნაცნობებიც იყვნენ. გვეუბნებოდნენ, რა გინდათ გამსახურდიასთან, ჩვენთან დარჩით და არ წააგებთო. მაინც უარი ვთქვით და კიტოვანი დაგვემუქრა, წადით და თქვენს თავს დაბრალეთ, რაც მოგივათ, გამსახურდიას კი გადაეცით, ვიდრე ეგ მიტირებს დედას, მანამდე მე ვუტირებო. ასე მომზადდა ფონი დიდი სამამულო დაპირისპირებისთვის. სხვათა შორის, ოპოზიციამ მაშინაც პროვოკაციაზე წამოაგო ხელისუფლება და ახლაც იგივე ხდება. დღესაც ცდილობს ოპოზიცია, „რუსთავი 2“-ით და სხვა თემებით ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს. გადახედეთ, ვინაა დღეს ოპოზიციაში: გიგა ბოკერია, მამა-შვილი გაბაშვილები და სხვები. ყველანი პუტჩისტები არიან და დღესაც ისე მოქმედებენ, როგორც მაშინ. ფაქტებით შემიძლია ვალაპარაკო: პეტრე გელბახიანისა და დეპუტატ დომუხოვსკის დაჭერა-ჩამოყვანის ოპერაციას კოტე გაბაშვილი ხელმძღვანელობდა. ავტომატებით დაგვდევდნენ ქუჩებში, ნიკა რურუა, საერთოდ მაგათი უფროსი იყო. ახლაც ასე იქცევა ოპოზიცია — ხელწერა იგივეა. ამ დროს, ხელისუფლებაშიც ბევრი დამნაშავეა, მაგრამ „ოცნება“ მაინც ფრთხილად უნდა იყოს. გვარებიც მეორდება, სცენარიც, ამიტომ მინდოდა ამ საკითხებზე საუბარი. მგონია, რომ ახლაც დიდი პროვოკაცია იგეგმება — ან ჯარზე თავდასხმას გაითამაშებენ, ან რაღაც ამდაგვარს და შეიძლება სისხლიც დაიღვაროს.

— რას გულისხმობთ ჯარზე თავდასხმაში, დააკონკრეტეთ, რა პარალელებს ხედავთ?

— ხელისუფლებას მივმართავ: ფრთხილად იყოს, გაუფრთხილდნენ ბოკერიას, რურუას, გაბაშვილებს, რადგან ამ ადამიანებს სამართლიანობის აღდგენისა ეშინიათ. მათ არ სურთ ნაციონალურ მოძრაობაში კი არა, 1990-იან წლებში ჩადენილ ცოდვებზე პასუხისგება. ბერძენიშვილები, ქანთარია და კიდევ ბევრი სხვა, ვინც ახლა ამ ხელისუფლებაშია, როცა უნდათ, მაშინ გადავლენ ოპოზიციის მხარეს, არ იფიქროთ, რომ უკან დაიხევენ. ეს ძალები ისევ ყველაფერზე წავლენ, თავიანთი ქონება რომ გადაარჩინონ და ბრალი დამალონ.

— და ამ პროვოკაციის მიზანი რა არის, ხელისუფლების დამხობა რომ იყოს, ვადამდელ არჩევნებს ხომ არ მოითხოვდნენ ნაციონალები?

— პარალელები საკმაოდ ბევრია: მაშინაც ვადამდელი არჩევნების მოლოდინი იყო ქვეყანაში. ის იდეა თავად გამსახურდიამ გააჟღერა და ოპოზიციასაც უნდოდა ვადამდელი არჩევნები. მერე ოპოზიციამ იფიქრა, საქმე ასე არ ივარგებსო და მოხდა ის, რაც მოხდა — ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგეს. ამიტომ უნდა გაფრთხილდეს „ოცნებაც“, განსაკუთრებით, ჯარში, სამხედრო ნაწილებში და ციხეებში, რადგან შესაძლოა, დადგმული თავდასხმები მოაწყონ, ან ბუნტი მოხდეს და ვინმემ გაისროლოს. ვფიქრობ, ოპოზიციას შიგნით თავისი თანამშრომლები და ოფიცრები ეყოლება. დღეს ჩვენს წინაშე ეს სერიოზული საფრთხე დგას. რაც ერთხელ უკვე მოხდა, ისევ რომ განმეორდეს, საქართველო ძალიან დასუსტდება და ამ ჭაობიდან ვეღარასოდეს ამოვალთ.

P. S. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე, პასუხს თავად აგებს რესპოდენტი, რომელსაც „ვერსიამ“ ტრიბუნა დაუთმო. აქედან გამომდინარე, კონკრეტულ პიროვნებებთან ინფორმაციის გადამოწმება არც გვიცდია, რადგან სამოქალაქო ომის დროს დაპირისპირებულ ყველა მხარეს „თავისი სიმართლე“ აქვს და ყველა ერთმანეთისკენ იშვერს ხელს. „ვერსია“, სურვილის შემთხვევაში, 90-იანი წლების მოვლენების სხვა შემქმნელ-მონაწილეებსაც დაუთმობს ტრიბუნას, სხვა თუ არაფერი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ თქვას სათქმელი იმ პერიოდზე, რომელსაც სამწუხაროდ, ჯერ სამართლებრივი შეფასებაც არ მისცემია.

ციხის ადმინისტრაცია რუს მსჯავრდებულს ურჩი პატიმრების გასაუპატიურებლად იყენებდა

რა პირობით უშვებდნენ „საქათმეში“ მძიმე დანაშაულით ბრალდებულებს

პატიმარი №0578

უკრაინულ მედიაში გავრცელებული კადრები ისევ განხილვის თემაა. კადრებში სამეგრელოში, ტყეში მოწყობილ მიწურში, მამაკაცის გაუპატიურების სცენაა ასახული, რის შემდეგაც მისგან ჩვენებას იღებენ. ის, რომ ამ მეთოდს წინა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა სასურველი ჩვენების მისაღებად, სასამართლოთია დამტკიცებული. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ თავისუფლებაზე არ ხდებოდა. ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში, რომელსაც გლდანის მერვე საპყრობილე ერქვა, ანალოგიური რამ არცთუ იშვიათი იყო. როგორც ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ისე გლდანის ციხეში იყო და არის ე.წ. საქათმე და იქ მყოფი რომელიმე პატიმარი, რომელსაც „ლიანდაგივით“ სასჯელი ჰქონდა, იქ შესვლას თანხმდებოდა. სანაცვლოდ კი, მაგალითად 30-წლიან სასჯელს უმცირებდნენ და 10 წელს უტოვებდნენ...

„პატიმარი №0578, კამერიდან გამოეთრიე, ადვოკატია მოსული“, — ერთ-ერთმა ოფიცერმა პატიმარს დაუძახა.

№0578 გაემზადა და ჩხრეკის პროცედურების შემდეგ (ჩხრეკა იმიტომ ხდებოდა, შემთხვევით ადვოკატისთვის ისეთი წერილი არ მიეცა, რომელიც ადმინისტრაციას არ ექნებოდა წაკითხული), სხვა პატიმრებთან ერთად, №0578-იც ადმინისტრაციულ კორპუსში გადაიყვანეს. ციხის ეზოში „ქათმები“ ტერიტორიას ასუფთავებდნენ. ერთ-ერთი, დაახლოებით 50 წლამდე კაცი, რომელსაც მთელი სხეული სვირინგებით ჰქონდა მოხატული, ეზოს გვიდა.

„ამის დამპალ სისხლს დალევენ გარეთ“, — ჩაიჩურჩულა ერთ-ერთმა პატიმარმა სვირინგებიანის დანახვისას.

„ვინ არის?!“ — ჩუმად ჰკითხა №0578-მა.

„ქათამია. ადმინისტრაციის შეკვეთით ბიჭებს აუპატიურებს“, — ჩუმად გაეპასუხა პატიმარი, თუმცა საუბრის გაგრძელება აღარ გამოვიდა, პატიმრები ადმინისტრაციის კორპუსის კიბეს შეუყვნენ. ადვოკატი №0578-ის მეგობარი იყო, ერთმანეთს გადაეხვივნენ და №0578-მა ჩუმად უთხრა: „აქ კიდევ ერთი პატიმარია, ჩვენს გვერდით ოთახში შეიყვანეს და ეგებ როგორმე სულ რაღაც 5 წუთით დაველაპარაკო. საინტერესო რაღაც თქვა გზად“.

„მომისმინე, ძმა: პირველი წესი — არავის ენდო აქ. მეორე წესი — მართლა არავის ენდო აქ და მესამე წესი — საერთოდ არავის ენდო. რა ისტორია, მაგის დრო არის ახლა?! პროკურორს ველაპარაკე, აღიარებები მომცეს, თორემ შავ დღეში ჩავაგდებო. ღამით იმას ვლოცულობ, დილით არ დამირეკონ და არ მითხრან, შენმა ძმაკაცმა თავი მოიკლაო. შენ კი, ვიღაც თუ რაღაც ისტორიებს დასდევ, შეეშვი, რა. აქ მთავარია გადარჩე და გადარჩე ადამიანურად, ღირსებით. არ იცი შენ, რას უშვრებიან აქ ხალხს“, — ცოტა არ იყოს, გაბრაზებით უთხრა ძმაკაცმა.

„ჰოდა, მეც მანდ ვარ. სწორედ მაგაზე ბაზრობდა ის ტიპი და ან შემოიყვანე აქ თავის ადვოკატთან ერთად, ან რამე მოიფიქრე“, — ჩურჩულით უთხრა №0578-მა.

„აქ შემოყვანა გამორიცხულია, შენ ციხის „ნაჩალნიკი“ ხომ არ გგონივარ?! გავალ, პასტას ვთხოვ და თან დროზე შევუთანხმდები, ერთდროულად რომ გაგიშვათ და ჯერ მოსაცდელ ოთახში გექნება საუბრის დრო, მერე საკნისკენ მიმავალ გზაზე“, — თქვა ადვოკატმა, ოთახიდან გავიდა და ერთ წუთში შემობრუნდა, №0578-ს თვალი ჩაუკრა, ყველაფერი რიგზეაო და ისიც ჰკითხა, პროკურორს რა ვუთხრაო?!

„რა უნდა უთხრა და, კანონს ნუ არღვევს. შენს გარეშე იყო ჩემთან დასაკითხად. ეგ არ შეიძლება. მერე კიდევ ის უთხარი, ის საქმეები, აქ რომ მომიტანა და შეტენვა უნდა, დედამისს შეტენოს, კი იცი შენ, სადაც და კიდევ — მარტო თუ მოვა, თავს მოვაჭამ, დამღალა მაგის სიფათის ყურებამ და მონოტონურმა ხმამ — აღიარე, გირჩევ...“, — აშკარად გაბრაზდა №0578.

დაახლოებით ნახევარ საათში ორივე პატიმარი მოსაცდელ ოთახში შეიყვანეს, რომ რამდენიმე შეეგროვებინათ და ისე დაებრუნებინათ კამერებში.

„შენ საიდან იცი იმ „ქათამზე?!“ — ჩუმად ჰკითხა №0578-მა.

„აქ ერთი ოფიცერია, გია... კლასელია ჩემი. ჰოდა, ჩემს კამერაში ტიპი იჯდა, რაღაცის აღიარებას სთხოვდნენ, გაჰყავდათ და ყოველ დღე ურტყამდნენ. არ აღიარა, მერე გაიყვანეს და აღარ მოუყვანიათ, გიას ვკითხე და მითხრა, იმ რუსმა იხმარა და ახლა კარცერში ჰყავთ, შოკიდან რომ გამოვიდესო. მერე მაგ რუსის ამბავი მოვაყოლე, ბავშვის გაუპატიურებაზე ზის, 27 წელი აქვს და ესენი შეუთანხმდნენ, თუ მაგ საქმეში დაგვეხმარები, 10 წელში გაგიშვებთო. ჩემი საკამერნიკი არც პირველია და არც ბოლო. მაგიტომ ვამბობ, სვაბოდაზე შეჭამენ იმ რუსს“, — ჩუმად უპასუხა პატიმარმა.

„რაა?! ათი წელიო?! ესენი კიდევ ათი წელი თუ დარჩნენ, მთელ საქართველოს იხმარენ და შესაჭმელიც აღარავინ იქნება“, — უკმაყოფილად თქვა №0578-მა.

„ჰო... ან ყველა შესაჭმელი იქნება“, — გაეპასუხა პატიმარი.

რამდენიმე დღეში №0578-ს პროკურორმა ისევ მოაკითხა. საუბარი ცოტა ხანს გაგრძელდა, აქ მოთრეული აღარ დაგინახო ჩემი ადვოკატის გარეშეო, უთხრა №0578-მა და კამერაში დაბრუნება ითხოვა. იმავე ღამეს, დაახლოებით ორ საათზე, კამერის კარი გაიღო და №0578-ს უთხრეს, ჩაიცვიო.

„რაღაც შარია, ძმა. ამ დროს პატიმრები კარგი ამბისთვის არ გაჰყავთ“, — უთხრა თანასაკნელმა.

№0578-მა უჩუმრად ჩაიცვა, ბრიტვის გატეხილი ნაწილი პირში დამალა და ოფიცერს გაჰყვა. ალექსანდრე მუხაძის კაბინეტში თავად მუხაძე, იგივე „ქილერა“, რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია, სოციალების უფროსი, ფაცაციაზე არანაკლებ ცნობილი ჯალათი გოგა ბუთლიაშვილი და „დე-პე-ენ-კას“ უფროსი ლადო ბედუკაძე ისხდნენ.

„როგორ ელაპარაკები შენ პროკურორებს? შენ შიგ ხომ არა გაქვს, ბიჭო?!“ — იღრიალა ფაცაციამ და სკამიდან წამოხტა.

„არა, ჯერ არ აქვს, მაგრამ თუ ჭკუით არ მოიქცევა, ექნება“, — გაიკრიჭა მუხაძე.

„ვერ ვხვდები, რა ხდება. პროკურორი ადვოკატის გარეშე იყო მოსული და ვუთხარი, რომ კანონი დაიცვას და ადვოკატთან ერთად მოვიდეს. კანონის დაცვის მოთხოვნა დანაშაულია?!“ — იკითხა №0578-მა.

„აგერ დამახიე შენი კანონი, აქ მე ვარ კანონი, ბიჭო, გაიგე?! პროკურორი მარტო მოვა თუ იმ შენ სირ ადვოკატთან ერთად, არავინ გეკითხება. თუ არა და, აგერ, ამ კაცს ხომ ხედავ?!“ — თქვა მუხაძემ და ღია კარში, კედელთან მდგომი პატიმარი დაანახა. №0578-მა მაშინვე იცნო ის რუსი და ენით ბრიტვის ნაჭერი მოსინჯა.

„მერე რა, რომ ვხედავ? ამას ყოველდღე ვხედავ კამერის ფანჯრიდან, ეზოს ალაგებს“, — №0578 შეეცადა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა სიმშვიდე.

„ჰო, ეზოს ალაგებს და თან პერიოდულად შენნაირ ჯიუტებს ხმარობს. თუ არ გინდა ამის კოლექციაში ჩაეწერო, მშვიდად და წყნარად უნდა იყო“, — აუხსნა მუხაძემ.

„კეთილი, თუ მარტო უნდა სიარული პროკურორს, იაროს. უბრალოდ, ჩვენება რომ მივცე, იურიდიული ძალა არ ექნება ადვოკატის გარეშე მიცემულ ჩვენებას“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„შენ ჩვენება მიეცი და მერე თავში ქვა უხლიათ. იმედია, გავუგეთ ერთმანეთს“, — დაასრულა მუხაძემ და ბედუკაძეს ანიშნა, კამერაში წაიყვანეო.

„ლადო, მართლა ასეთი საქმეებისთვის იყენებენ იმ კაცს?“ — საკნისკენ მიმავალ გზაზე ჰკითხა №0578-მა ბედუკაძეს.

„და არამარტო მაგას. მაინც გაგსროკავენ, ისეც და ასეც და ამიტომ, დაფიქრდი, შენთვის უკეთესი როგორ იქნება. ხომ ხედავ რა სისტემაა, ყველაფერზე არიან წამსვლელები, სულ ყველაფერზე, გესმის?!“ — უთხრა ლადომ.

„და... შენზე რომ ამბობენ, ჯიგარიაო... რა გინდა ამ სისტემაში, რა?!“

„ცოტა მაცადე, სულ ცოტა...“ — ჩუმად თქვა ბედუკაძემ.

მაშინ 2011 წლის გაზაფხული იდგა...

პრობლემა

როდის განიტვირთება თბილისის ქუჩები საცობებისგან

მაკა ლომაძე
555-27-95-13

თბილისში გადაადგილება შეუძლებელია! — ამ ფრაზას, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, არაერთხელ მოისმენთ, საცობებით შეწუხებული მოქალაქეებისგან. ისიც ყველამ იცის, რომ დედაქალაქში უკვე შეუძლებელია განსაზღვრო, დანიშნულების ადგილას მისვლას რა დროს მოანდომებ — თუ ადრე, გარეუბნიდან ცენტრალურ უბანში მისვლას 20-30 წუთი უნდებოდი, ახლა შეიძლება ერთი საათიც არ გეყოს. „ვერსია“ დაინტერესდა, როგორ აპირებს თბილისის მერია ქრონიკული საცობების პრობლემის მოგვარებას.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, დღეს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საავტომობილო ტრანსპორტს, გადაზიდვების მოცულობის მიხედვით, წამყვანი ადგილი უკავია. დღითიდღე იზრდება საავტომობილო პარკი, შესაბამისად, იზრდება გზებსა და ქუჩებზე სატრანსპორტო საშუალებების სიმჭიდროვე და მოძრაობის ინტენსივობა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ქალაქებში. გამონაკლისი, არც თბილისია.

საპატრულო პოლიციის მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში მილიონამდე სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული. აქედან, 400 ათასამდე დედაქალაქში მოძრაობს. ქალაქ თბილისზე შემოსავლელი სრულფასოვანი გზის არარსებობის გამო, დედაქალაქის ქუჩებით სარგებლობს ასევე ტრანზიტულად მოძრავი ტრანსპორტის უმეტესობა, დედაქალაქში ტაქსით მომსახურებას ახორციელებენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლებიდან შემოსული სატრანსპორტო საშუალებებიც. მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაშია საზოგადოებრივი ტრანსპორტი (საავტობუსო პარკი). ქალაქის ცენტრალურ უბნებში საპარკინგე სივრცის არარსებობის გამო, გზის სავალ ნაწილზე მოწყობილია პარკინგები, დაბალია ზოგადად მძღოლების პროფესიონალიზმი და მომზადების დონე. ეს დედაქალაქში საცობების გამომწვევი მიზეზების მხოლოდ არასრული ჩამონათვალია.

საინტერესოა, რას აკეთებს მერია პრობლემის გადასაჭრელად? მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, **„დედაქალაქში საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით ინერგება როგორც არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ღონისძიებები (გრძელვადიანი რეგულაციები), როგორიცაა: ახალი ქუჩების, მაგისტრალების, ესტაკადების, ხიდების, გვირაბების, გზაგამტარების მშენებლობა, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში (შენდება თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი, დავით აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისკენ გადასასვლელი ესტაკადა, კაპიტალურად რემონტდება ზაჰესის, დიღმულას და ბარათაშვილის ხიდები, დამთავრებულია პროექტი პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღსადგენად ესტაკადის მშენებლობისათვის, გივი კარტოზიასა და ცინცაძის ქუჩის გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობისათვის, გორგასლის ქუჩისა და კოჯორი-ტაბახმელას დამაკავშირებელი 5.4 კმ სიგრძის ავტომაგისტრალის მშენებლობისათვის), ისე ორგანიზაციული ღონისძიებები, რომლებიც აწესრიგებს მოძრაობას არსებულ საგზაო ქსელზე, ასეთ ღონისძიებებს პირველ რიგში მიეკუთვნება საგზაო მოძრაობის მართვა ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებით, ქუჩებისა და მაგისტრალების სავალი ნაწილის წესრიგში მოყვანა, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, მიმმართველი მოწყობილობების დანერგვა... უმოკლეს დროში დავიწყებთ ტაქსის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა“.**

მერიის პრესსამსახურში ამბობენ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისათვის და გაისად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით, დედაქალაქში შემოიყვანენ დიდი ტევადობის, თანამედროვე სამარშრუტო 200 ავტობუსს. მერიაში მიაჩნიათ, რომ ეს ტრანსპორტი იმდენად კომფორტული იქნება, ბევრ მოქალაქეს გაუჩნდება სურვილი, საკუთარი ავტომანქანა გააჩეროს და იმგზავროს ავტობუსით. გარდა ამისა, ეს ავტობუსები, როგორც გვპირდებიან, ადაპტირებული იქნება და მისით მგზავრობას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უპრობლემოდ შეძლებენ.

თბილისის მერიაში გავარკვიეთ ისიც, რომ აქტიურად მუშავდება მიწისქვეშა და მიწისზედა საპარკინგე ადგილების მოწყობის გეგმა. ეს ყველაფერი კი, ერთად, გაუმჯობესებს დედაქალაქში არსებულ სატრანსპორტო მოძრაობას.

„დაგვიანების გამო მამაო ან მეტანიებს გვაკეთებინებს, ან შეიძლება დაგვაჩოქოს“



რა შიდაგანაწესი მოქმედებს ოზურგეთის წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლაში, სადაც მოძღვარმა მოსწავლეს სცემა

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ოზურგეთში, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესახებ უკვე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. ყველამ იცის, რომ სამრევლო სკოლის წინამძღვარმა, მამა ვახტანგი თოხაძემ, მეცხრე კლასის მოსწავლე ლ. გ. ცელქობის გამო მკაცრად დასაჯა. როგორ მიმდინარეობდა სასულიერო გიმნაზიაში გაკვეთილები, რა მოხდა დეტალურად და იყო თუ არა მოსწავლის შეურაცხყოფა პირველი შემთხვევა? — სამრევლო სკოლის მოსწავლეები და ფაქტის თვითმხილველები თავად გვიამბობენ.

მოსწავლეებთან გასაუბრების ინიციატორი, სამრევლო სკოლის წინამძღოლი, მამა მათე გორდელაძე იყო. მან სთხოვა ბავშვებს, არაფერი დაემალათ და დეტალურად, გულახდილად ესაუბრათ მომხდარის შესახებ. მეათეკლასელები გვიამბობენ, რომ მათი უკვე ყოფილი კლასელი, მოძღვარ ვახტანგის გაკვეთილზე დაისაჯა: **„გვიტარდებოდა გაკვეთილი „მოძღვრის საათი“. ჩვენი ერთი თანაკლასელი ლ. გ. ცელქობდა. მოძღვარმა შენიშვნა მისცა, მაგრამ ის მაინც არ გაჩერდა. მამამ გვერდში დაიყენა, იქნებ ასე მაინც გავაჩეროო. მაინც არ იშლიდა თავისას. მაშინ მოძღვარმა ბავშვებს გვითხრა, ჯოხი მოგვეტანა და ვისაც გვაბრაზებდა, მისთვის დაგვერტყა. ძირითადად გოგონებს აბრაზებდა, მაგრამ არც ერთმა ჯოხის დარტყმა არ ვისურვეთ. ერთი ჩვენი კლასელი წამოდგა, ფეხი ჰქონდა ნატკენი და ჯოხს ატარებდა. მოუქნია ჯოხი და რამდენჯერმე დაარტყა უკან, ფეხებს ზევით. ლ.გ. დაჯდა და ტირილი დაიწყო“.**

როგორც მოსწავლეები აცხადებენ, ლ.გ. სკოლიდან გადასვლაზე ხშირად საუბრობდა, მაგრამ მომხდარი ფაქტის შემდეგ, სასწავლებლის შეცვლა მხოლოდ ერთი სემესტრის შემდეგ შეძლო: **„ეს ბიჭი სამრევლო სკოლიდან გადასვლაზე მანამდეც საუბრობდა ხოლმე. ამ ფაქტის შემდეგ კი, ხშირად ამბობდა, რომ აქ გაჩერება აღარ სურდა. მშობლებისა და მოძღვრის თხოვნით, ერთი სემესტრი კიდევ გაჩერდა. მერე, ოზურგეთის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში გადავიდა“.**

სამრევლო სკოლის მოსწავლეები იმაზეც საუბრობენ, რომ ბევრი მოსწავლე სასულიერო სკოლებში არსებულ მკაცრ შინაგანაწესს ვერ ეგუება და ამის გამო აგრძელებენ სწავლას საჯარო სკოლებში. ამბობენ, რომ დასჯის შემთხვევები ხშირი არ არის. დასჯაში კი, ძირითადად, მეტანიებსა და დაჩოქებას გულისხმობენ: **„ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის. სიმკაცრე კი, ნამდვილად იგრძნობა — ხდება ხოლმე, როცა დაგვიანების გამო, მამაო ან მეტანიებს გვაკეთებინებს, ან შეიძლება დაგვაჩოქოს“.**

სამრევლო სკოლის მოძღვარი **მამა იოსები** (ნაკაიძე) აცხადებს, რომ სასწავლებელი, სხვა საჯარო სკოლებისგან სწორედ შინაგანაწესით გამოირჩევა. მღვდელი ადასტურებს, რომ ზოგჯერ, მოსწავლეები აღნიშნულ წესს ვერ იცავენ და მეტი თავისუფლებისთვის, სხვა სკოლაში გადადიან: **„საქართველოში საპატრიარქოსთან არსებული ოთხი ასეთი სკოლაა. სწავლება მიმდინარეობს განათლების სამინისტროს მიერ მოცემული პროგრამით. იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანია განათლებასთან ერთად აღვზარდოთ მოსწავლეები მართლმადიდებელ ქრისტიანებად, შინაგანაწესში გათვალისწინებულია კონკრეტული ქცევის წესები: სკოლაში მოსწავლემ არ უნდა დააგვიანოს, გაკვეთილები არ უნდა გააცდინოს, მონაწილეობა უნდა მიიღოს სხვადასხვა ღონისძიებაში... სწორედ ეს შინაგანაწესი განასხვავებს ჩვენს სასწავლებელს სხვა სკოლებისაგან. ამის შესახებ მასწავლებლებმა და მშობლებმა იციან. არის შემთხვევები, როცა სკოლას ვერ უწყობენ ფეხს და გადადიან იქ, სადაც მეტი თავისუფლება ექნებათ. ასეთი რამ ხშირად არ ხდება“.**

საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, შემოქმედელი მიტროპოლიტის, მეუფე იოსების გადაწყვეტილებით, სამრევლო სკოლაში მომხდარი ინციდენტის მონაწილე მამა ვახტანგს, მღვდელმსახურება შეუჩერდა. ის ასევე გადაყენებულია პედაგოგობიდან და გაშვებულია მონასტერში სინანულისთვის. საპატრიარქოს წარმომადგენლის განმარტებით, გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან გათავისუფლებულია სამრევლო სკოლის დირექტორის მოადგილე, ნინო გოგეშვილიც.

ოზურგეთის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შსს-მ გამოძიება დაიწყო. სისხლის სამართლის საქმე 125-ე მუხლით (ცემა) არის აღძრული.

საზოგადოება

„სტუდენტები კვლავ გაჭირვებაში ცხოვრობენ“

რა პრობლემები აქვთ და რას ითხოვენ სტუდენტები ხელისუფლებისგან

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

18 წლის **ქეთი სარქისაშვილი**, რომელიც კახეთიდანაა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველკურსელია. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკის უფასო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თბილისში ცხოვრება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული — ყოველთვიურად ბინის ქირის გადახდა უწევს, რადგან დედაქალაქში მუდმივი საცხოვრებელი არ აქვს: **„კახეთიდან ვარ. თბილისში ცხოვრება ძალიან ძვირი მიჯდება. ბინის ქირა, კომუნალური გადასახადები, მგზავრობა, კვება... მე კიდევ რა მიჭირს, ისინი, ვინც ჩემსავით, რეგიონიდან არიან და სწავლის გადასახადსაც იხდიან, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბევრი ვიცი, ვინც სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო“.**

თათია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრია. აცხადებს, რომ სანამ ბაკალავრიატის სტუდენტი იყო, სწავლის საფასურის დაფარვაში, სახელმწიფო გრანტთან ერთად, სოციალური დაზღვევა ეხმარებოდა: **„გრანტი მოვიპოვე და ნაწილობრივ, სახელმწიფო დამეხმარა. პარალელურად, სოციალურად დაუცველთა სიაში ვარ და როგორც ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზეც ნაწილობრივ მინაზღაურებენ სწავლის გადასახადს. რომ არა გრანტი და სოციალურად დაუცველის სტატუსი, ალბათ, სწავლას ვერც შევძლებდი და მეც, სხვა მრავალი სტუდენტის მსგავსად, სტატუსი შემიჩერდებოდა. სტუდენტებისთვის პრობლემაა, გაუთავებლად რომ გვიწევს მასალების დაქსეროქსება, ძვირია მგზავრობა და მაღალი ფასებია უნივერსიტეტის სასადილოში“.**

სტუდენტების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსა და საქართველოში არ არსებულ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელზე „ვერსიასთან“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი **ლევან ლორთქიფანიძე** საუბრობს: **„მისასალმებელია ტენდენცია, რომ სტუდენტთა ნაწილი, სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ტიპის დაფინანსებას იღებს სწავლის ქირის გადახდის დროს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუდენტთა უმუშევრობის დონე ძალიან მაღალი. მაგალითად, ჩემს ფაკულტეტზე (თსუ-ს სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტი) ჩატარებული კვლევის მიხედვით, 75-80% დაუსაქმებელია. დასაქმებული სტუდენტების შემოსავალი კი, საშუალოდ, მხოლოდ 250 ლარია. სტუდენტების უმრავლესობისთვის შემოსავლების არარსებობის გამო დიდი პრობლემაა საცხოვრებლის პოვნა. მსოფლიოში ამგვარი სტუდენტების მხარდასაჭერად ერთადერთი გზა არსებობს — საერთო საცხოვრებლების მშენებლობა-კეთილმოწყობა. 2012 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ერთადერთი საერთო საცხოვრებელი ააშენა, ლისის ტბასთან, რომელიც მხოლოდ 300-400 სტუდენტზეა გათვლილი და 70 000 სტუდენტის მოთხოვნის მეასედსაც ვერ აკმაყოფილებს. თსუ-ს საერთო საცხოვრებელი ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, იქ მცხოვრები სტუდენტები საშინელ ანტისანიტარიაში ცხოვრობენ. თსუ ითხოვს ბაგებში, ორი დაბალსართულიანი შენობის გადმოცემას, რათა მის კეთილმოწყობასა და სტუდენტთა უმცირეს ნაწილზე მაინც ზრუნვა დაიწყოს. შენობას არც ჩვენ გვიბრუნებენ და არც უვლიან. ასეთ ვითარებაში სტუდენტები კვლავ სოციალური გაჭირვებისა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე ცხოვრობენ. შეუძლებელია საქართველოში სწავლის დონემ რომელიმე ევროპული სტანდარტი დააკმაყოფილოს, სანამ: უნივერსიტეტებში პროფესორთა არჩევა უფრო მკაცრი და საერთაშორისო ნორმების შემცველი კრიტერიუმებით არ მოხდება; უნივერსიტეტებს არ მიეცემათ თუნდაც მინიმალური დაფინანსება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებისათვის და ბოლოს — არ შემუშავდება განათლების შესახებ ახალი კანონი სასწავლო დისციპლინების აკრედიტაცია-ავტორიზაციისთვის, უნივერსიტეტის მართვაში დემოკრატიული სტრუქტურების გაძლიერებისა და სასწავლებელთა ბიუროკრატიული რეფორმების გატარებისთვის“.**

მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა წითელი საღებავებითაა შეღებელი

თბილისში, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის შენობა წითელი საღებავებითაა შეღებელი. შენობაზე გაკეთებულია წარწერა: „მწამებლის ბიბლიოთეკა“ და მიხატულია წითელი ხელები.

ბიბლიოთეკის განვითარების ხელმძღვანელის, ლანა ღვინჯილიას ინფორმაციით, შენობა ღამით შეღებეს, ესროლეს ბოთლებში ჩასხმული წითელი საღებავები, რის შედეგადაც შენობაზე არსებულ წარწერაზე — „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა“ რამდენიმე ასო გატყდა და ჩამოვარდა.

ბოლო ორი დღეა, ნაციონალური მოძრაობის ოფისები წითლად შეღებეს თითქმის ყველა რეგიონის დიდ ქალაქებში.

„ინტერპრესნიუსი“

1. სპორტის სახეობა
2. ჭიდაობის ილეთი
3ᲛᲘწისძვრის შედეგად წარმოქ. გიგანტური ტალღა
4. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
5. თევზსაჭერი მოწყობილობა
6. პატიმრის ოთახი
7. კომპოზიტორ ლეონკავალოს სახელი
8. თამასა ფანჯრის ჩამოსაკიდად
9. ამერიკელთა მეტსახელი
10. შავი გედი „გედების ტბაში“
11. ელექტრული მუხტის ერთეული
12. ტროპიკული მცენარე, ე.წ. ოქროს ქლიავი
13. ჟირაფის „ნათესავი“
14. შუშანიკის მაწლი
15.უფლისგან შერისხული ერთ-ერთი ქალაქი
16. საეკლესიო ზეთი
17. ჯუზეპე ვერდის ოპერა
18. ხურდა ფული ძველ საბერძნეთში
19.გერმანული საღვინე ყურძნის ჯიში
20. ტუზი - ქართულად
21. თვალის ექიმი
22. რუსი პოეტი სერგეი ...
23. ეპარქიის მმართველი
24. ყველაზე პატარა ჩიტი
25. „რომაული არდადეგების“ რეჟისორი
26. დავით აღმაშენებლის დედის სახელი
27.საგანგებო საეკლესიო სასამართლო შეა საუკუნეებში
28. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
29. სოფელი სენაკის რაიონში
30.ლატვიელი კომპოზიტორი რაიმონდ ...
31. პარკოსანი მცენარე
32.დაავადების განვითარების უმაღლესი მწვერვალი
33. „ტრაგედიის მამა“
34. ჭადრაკის ფიგურა
35. დიდი რუსი მეცნიერი
36.პატარა ჩიტი, ივი-ვე სკვინჩა
37. ფრანგული არაყი
38. ძვირფასი სკამი, სავარძელი
39. ანტილოპას სახეობა
40. ბიბლიური წინასწარმეტყველი
41. „ბლუზის მეფე“ ... კინგი
42. თბილისის უბანი
43. წერილობითი საჩივარი ხელისუფლებისადმი
44. თანამგზამულთა გაერთიანება უცხო ქვეყანაში
45.ქართული ანბანის მე-11 ასო
46.მდინარე ბერნში
47.ბერძნ. ანბანის ასო
48. ხევისბერი გორას ვაჟი
49. რეჟისორი ... კუსტურიცა
50. „ბურატინოს თავგადასავალის“ პერსონაჟი
51. ბურკინა-ფასოს დედაქალაქი
52. იტალიური მრავალფენიანი დესერტი
53. იგივეა, რაც იალქანი
54. ნახატებიანი გამოცანა
55. აშშ-ის ტელეპრემია
56. მცირე ზომის რადიო-სადგური
57. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
58.გიორგი საakაძის უმცროსი ვაჟი
59. დედამიწის ქალღმერთი ბერძნ. მით.
60.ორი ან რამდენიმე ნოტის გამაერთიანებელი რკალისებური ხაზი მუსიკაში
61. მესამე ხმა ქართულ სიმღერაში
62. აქილევსის დედა
63.მოზაიკაში ხმარებული ფერადი ქვა
64. ქალაქი გერმანიაში
65. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
66. იემენის დედაქალაქი
67. „მერე რა, რომ სველია სველი ...“
68. აინშტაინის მშობლიური ქალაქი
69. მუხის ნაყოფი
70. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
71ნაპოლეონის მშობლ. ქალ.
72.იშვიათი, განუმეორებელი
73. ზღვის პატარა ყურე
74. ჰუნების წინამძღოლი
75. ისტორიული ქალაქი უზბეკეთში
76. ბიბლიური სარას მხევალი
77. მარტოხელა ბიჭი
78.ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
79. დიდი ნემსი
80. ისრაელის წარმოების ავტომტი
81. ჰაერის მოძრაობა ატმოსფეროში დედამიწის ზედაპირის პარალელურად
82. ბასკ ტერორისთა ორგანიზაცია
83. იგივეა, რაც ძინანქარი
84. ალ. ბუვეს ცნობილი რომანი
85. ერთი წერტილი კამათელზე
86. თმის შავი საღებავი, რომელსაც ინასთან ერთად ხმარობენ

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

შვედი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პლანეტის მოსახლეობას გლობალური დათბობის თავიდან აცილება შეუძლია. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მზისა და ქარის ენერგიის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურმა დამკვიდრებამ, რასაც არ მოჰყვება მავნე ნივთიერებების გამოყოფა, საკმაოდ შეანელა პლანეტაზე გლობალური დათბობის პროცესი. ეს მოსაზრება სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორმა იოჰან როკსტრემმა გაავრცელა. განცხადება კი მოულოდნელი იყო, რადგან ჯერ კიდევ 6 წლის წინ, იგივე მეცნიერი გლობალური დათბობის შეუქცვადობის შესახებ გვარწმუნებდა. მეცნიერის აზრით, გლობალური დათბობა, შესაძლოა, არც მოხდეს, თუ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ატმოსფეროს მანვე ნივთიერებებით დაბინძურება შემცირდება.

„სასიყვარულო ჭყლე" ჭოჭბლოებზე

კალიფორნიაში, ოკლენდის ქუჩებში „სიყვარულის ფურგონი" ივლის. დახურული ტიპის ავტომანქანის ქირაობა და არასტანდარტულ, ინტიმურ გარემოში დროის გატარება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მოძრავი ოთახი პაემნებისთვის, არტპროექტის სახით, დიზაინრემა სპაი ემერსონმა შექმნა. ფურგონის შიგთავსი მინიმუმამდეა დაყვანილი, ყოველი არენდატორის შემდეგ კი კომპანია Hook Up Truck პირობას დებს, რომ „ოთახში" შესაშურ სისუფთავეს დაამყარებს. წესების დარღვევისთვის განსაკუთრებით აქტიურ შეყვარებულებს კი დააჯარიმებენ. ბორბლებზე შემდგარი „სასიყვარულო ფურგონით" მგზავრობა 75 დოლარიდან იწყება (30 წუთი — გაქირავების მინიმალური დროა) და 2,5 ათას დოლარს აღწევს 5-საათიანი სეირნობისთვის. როგორც იდეის ავტორი აცხადებს, უკვე მიიღო მრავალრიცხოვანი შეკვეთა სხვადასხვა ადამიანისგან. ეს არიან მარტოხელა დედები, ის ახალგაზრდები, ვინც საცხოვრებელს მეზობელთან იყოფს და მოკლებულია პირად ცხოვრებას, ასევე საქმიანი ადამიანები ფინანსური რაიონებიდან, რომელთაც შესვენების დროს შეიძლება დასჭირდეთ ჩვენი ფურგონი, — ამბობს დიზაინერი. ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მანქანა ოკლენდისა და სან-ფრანცისკოს ქუჩებში იმოძრავებს. კომპანია მსურველებს აფრთხილებს, რომ შეუძლიათ, ერთად მხოლოდ ორი კლიენტი მიიღონ 21 წელს ზემოთ, ბავშვები და ცხოველები კი არ დაიშვებიან.

ყველაზე ხმაურიანი ქვეყანა დასახელეს

აკუსტიკისა და აუდიოკორექციის საკითხებით დაკავებული საერთაშორისო კომპანიის გამოკვლევების მიხედვით, ესპანეთის მოსახლეობის 70%-ზე მეტი ზედმეტად ხმაურიან პირობებში ცხოვრობს. ადამიანის სმენის ორგანოზე ზემოქმედების მხრივ ყველაზე უსიამოვნო ადგილად ქვეყნის მცხოვრებნი ქუჩის ხმაურს ასახელებენ, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობითა და სამშენებლო-სარემონტო ხელსაწყოების გამოყენებით ჩნდება. გამოკითხულთა 60% მას ნორმალური ცხოვრების მთავარ „დამრღვევად" ასახელებს. სპეციალისტთა განცხადებით, პირველი წელი არ არის, რაც ესპანეთი ევროკავშირში ყველაზე ხმაურიან ქვეყნად სახელდება, მსოფლიოში კი ამ მაჩვენებლით მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ იაპონიას ჩამოუვარდება. დაახლოებით 9 მილიონი ესპანელი ისეთ ხმაურში ცხოვრობს, რომლის დონე 65 დეციბელს — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ზღვარს აღემატება. ამ დონის გადაჭარბება კი ადამიანის ორგანიზმს პათოლოგიური ცვლილებებით ემუქრება.

ძილის სიყვარულს გენის არარსებობა იწვევს

ბევრი ადამიანისთვის დილით ადრე ადგომა ძალიან რთულია. საკმარისი ძილის მიუხედავად, ზოგს ეს პროცესი ძალიან უჭირს, ზოგი კი ერთი-ორი საათით წათვლემის შემდეგაც თავს საკმაოდ ენერგიულად გრძნობს. აღმოჩნდა, რომ საქმე გენებთან გვაქვს. ჩატარებული კვლევების შემდეგ, სწავლულებმა განაცხადეს, რომ ადამიანებს, რომელთაც სულ ეძინებათ, არ აქვთ გენი, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზმში PER-ის სახელწოდებით ცნობილი ცილის გამომუშავებაზე. სწორედ ეს ცილა არეგულირებს ადამიანის დღე-ღამის რიტმს. თუ მას ორგანიზმი გამოიმუშავებს, მაშინ ცილა გაღვიძების სიგნალს იძლევა, ხოლო თუ ის ორგანიზმში არ არის საკმარისი რაოდენობით, მაშინ ადამიანს სულ ეძინება. მეცნიერები აცხადებენ, რომ დღეს ძილისა და უძილობის პრობლემა დედამიწის მოსახლეობის 58%-ს აწუხებს. ახლა კი ამ საკითხის მოგვარება ადვილი იქნება, რადგან ორგანიზმში PER-ის ხელოვნურად გამომუშავება შესაძლებელია.

ოსტეოპოროზისგან ლუდი დაგიცავთ

ასაკოვან მანდილოსნებს ძვლების დაცვა ოსტეოპოროზისგან ლუდის მეშვეობით შეუძლიათ, — განაცხადეს კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა. დღის განმავლობაში ნახევარი ლიტრი ქარვისფერი სასმელი ორგანიზმს ასაკში საშიში მოტეხილობისგან იხსნის. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ლუდი დიეტური სილიკონის იდეალური წყაროა, რომელიც აუცილებელია ძვლის მასის ჩამოყალიბებისთვის. ასაკთან ერთად ეს მასა ილევა და დეფორმირდება, რაც ოსტეოპოროზს იწვევს, სილიკონი კი ორგანიზმს მის აღდგენაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინგრედიენტს ზოგიერთი მცენარე პარკოსნებიც შეიცავენ, მაინც მის ყველაზე მდიდარ წყაროდ ლუდი შეიძლება დასახელდეს. მკვლევარები ექსპერიმენტებისას ძვლების ფორმირებაზე ლუდის ზეგავლენას აკვირდებოდნენ და აღმოაჩინეს, რომ ეთანოლი, რომელსაც ასევე შეიცავს ალკოჰოლი, ძვლის მასის გალევას ეწინააღმდეგება. სილიკონი კი, თავის მხრივ, ძვლის ახალი მასის ფორმირებას უწყობს ხელს. ესტროგენთან კომბინაციაში სილიკონი დადებით ეფექტს გვაძლევს,— აღნიშნავენ სწავლულები, ამიტომ ასაკოვან მანდილოსნებს ნამდვილად არ აწყენთ დღეში ნახევარ ლტრამდე ლუდის მიღება.

შავი შოკოლადი კოცნაზე უკეთესია

ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შოკოლადი უფრო ძლიერად და ხანგრძლივად ასტიმულირებს ტვინსა და გულს, ვიდრე ყველაზე ვნებიანი კოცნა. ამერიკელმა სწავლულებმა კვლევებისთვის რამდენიმე ახალგაზრდა წყვილი შეარჩიეს, მათ კარდიომონიტორები და ელექტროდები მიამაგრეს, რომელთა საშუალებითაც კლინიკის სპეციალისტები აკონტროლებდნენ მათი გულისა და ტვინის მოქმედებას. წყვილებს ერთმანეთის კოცნის საშუალება მხოლოდ შავი შოკოლადის მირთმევის შემდეგ მიეცათ. სპეციალურმა აპარატურამ დააფიქსირა, რომ ყველაზე მხურვალე ამბორიც კი ვერ შეედრება შავი შოკოლადით გამოწვეულ ნეტარებას.

მუყაოს შეფუთვა საშიშია

შვეიცარიელი სწავლულები გვაფრთხილებენ, რომ იმ პროდუქტის მოხმარება, რომელიც მუყაოს ყუთებში ინახება, საშიშია. განსაკუთრებით ეს ეხება ბურღულეულის ფანტელებს, ბრინჯს, ფქვილსა და პასტას. მკვლევარები საფრთხეს იმით ხსნიან, რომ შესაფუთი მუყაოს წარმოებაში იყენებენ ძველ ქარაღალდს, მაკულატურას და მინერალურ ზეთს საღებავში. ეს ნივთიერებები კი საკვებ პროდუქტს აბინძურებს. ეს ჩატარებული ანალიზის შედეგებმაც დაამტკიცა — ასეთ შეფუთულ პროდუქტში მინერალური ზეთების შემცველობა ნორმაზე 100-ჯერ მეტი აღმოჩნდა. სწავლულების თქმით, ამ ნივთიერებებს შეუძლიათ გამოიწვიონ შინაგანი ორგანოების ანთებითი პროცესები და სიმსივნეც კი.

სუდოკუ

ადვილი

	8				6	2	5	
			1		8		4	
		9		5			8	
		2						1
	6	1		8		4	3	
4						9		
	9			6		5		
	1		3		5			
	7	6	2				9	

სტანდარტი

8		2		1		3		
	6					1		
4		1				9	2	
			1		8			
			5	3	7			
			4		2			
	5	8				6		9
		7					8	
		6		7		4		1

რთული

							3	
	7			1	6	4		
		2	5		9	1		
9			6			8	4	
2			1		4			3
	4	7			3			6
		9	8		5	6		
		8	4	9			7	
	1							

ექსპერტი

8	3			6		4		
							7	
5	9			7	1		6	
7					8			
			9	5	7			
			1					2
	7		6	3			9	4
	5							
		2		1			3	8

კანონიერი



1. სათათბირო ორგანო ძვ.საქართვ.
2. რაიმე მოქმედების შემაფერხებ. გარემოება
3. ცხვრის საკრეჭი მაკრატელი
4. ზეთოვანი მცენარე
5. ყველაზე მსხვილი სისხლძარღვი
6. მდ. ვოლგა შუა სა-უკუნეებში
7. რკინა-ბეტონის თავშესაფარი
8. ბულგარული არაყი
9. ტომის, გვარის მამამთავარი
10. „ჩექმის ფორმის“ ქვეყანა
11. ინგლისის ცნობილი უნივერსიტეტი
12. ვენერას ბერძენი „კოლეგა“
13. მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელი
14. გერმანელი ფილოსოფოსი
15. ყველაზე დიდი მახრჩობელა გველი
16. ქართველთა წმინდანი ქალი
17. ლუარსაბის მეუღლე
18. იესოს ნათლობის მდინარე
19. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
20. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
21. სახლტბოლექსი
22. აკაკი წერეთლის პოემა
23. ადვილი, მარტივი
24. ქათმის დასაფრთხობი შეძახილი
25. ერთ-ერთი სახარების ავტორი
26. პირისახის ძვალი
27. თურქული მაწონი
28. მანძილის სტარტს და ფინიშს შორის
29. რაჭვეული ხალხური სიმღერა
30. „პარფიუმერული“ ყვავილი
31. ძველი რომის იმპერატორი
32. ღონე, ძალა, არაქათი
33. კუნძ. კრეტის უმაღლესი მწვერვალი
34. ესპერანტოს ვარიანტი
35. ბანქოს თამაში
36. ყველაზე პატარა თითი
37. ბავშვთა ინფექციური დაავადება
38. პატარა კენგურუ
39. ძველ-ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
40. ბავშვთა ინფექციური დაავადება
41. ნახვამდის- ფრანგულად
42. რაიმე საბუთის მეორე პირი
43. გეოდეზ. კუთხსაზომი იარაღის დეტალი
44. იგრეკის „კოლეგა“
45. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
46. ფანჯრის ჩარჩო
47. გავარვარებული ვულკანური მასა
48. საკონდიტრო ნაწარმი
49. შავმერქნიანი ხე
50. უცებ, უეცრად
51. სოფელი გულრიფშის რაიონში
52. (ძვ.) მანძილის საზომი ერთეული
53. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
54. ბუს „ნათესავი“
55. სოფელი ყაზბეგის რაიონში
56. ჩაძირული კონტინენტი
57. უძვ. ქალაქი შუამდინარეთში
58. მსახიობი ... ფეროუ
59. კავკასიის მთიელთა სოფელი
60. მუსიკალ. გამის III ნოტი
61. დედამიწის ანტონიმი
62. ეპილეფსიის წინამსწრები სიმპტომები
63. დილით ჯერ კიდევ უჭმელი
64. პატარა სარწყავი არხი
65. პოეტი ... ხაიამი
66. იგივეა, რაც ახლომხედველი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	8	7	9	4	6	2	5	3
6	2	5	1	3	8	7	4	9
3	4	9	7	5	2	1	8	6
9	5	2	4	7	3	8	6	1
7	6	1	5	8	9	4	3	2
4	3	8	6	2	1	9	7	5
2	9	3	8	6	7	5	1	4
8	1	4	3	9	5	6	2	7
5	7	6	2	1	4	3	9	8

სტანდარტი

8	9	2	7	1	4	3	6	5
7	6	5	3	2	9	1	4	8
4	3	1	6	8	5	9	2	7
2	7	9	1	6	8	5	3	4
6	1	4	5	3	7	8	9	2
5	8	3	4	9	2	7	1	6
3	5	8	2	4	1	6	7	9
1	4	7	9	5	6	2	8	3
9	2	6	8	7	3	4	5	1

რთული

6	9	1	2	4	8	5	3	7
8	7	5	3	1	6	4	2	9
4	3	2	5	7	9	1	6	8
9	5	3	6	2	7	8	4	1
2	8	6	1	5	4	7	9	3
1	4	7	9	8	3	2	5	6
7	2	9	8	3	5	6	1	4
5	6	8	4	9	1	3	7	2
3	1	4	7	6	2	9	8	5

ექსპერტი

8	3	7	5	6	9	4	2	1
2	1	6	4	8	3	9	7	5
5	9	4	2	7	1	8	6	3
7	6	5	3	2	8	1	4	9
4	2	1	9	5	7	3	8	6
3	8	9	1	4	6	7	5	2
1	7	8	6	3	2	5	9	4
6	5	3	8	9	4	2	1	7
9	4	2	7	1	5	6	3	8

კანონიერი

მე-10 გვერდი: 1. დივიზია; 2. არქონტი; 3. დურუჯი; 4. ვეტო; 5. ზორგე; 6. არაყი; 7. ანატოლი; 8. ქირესა; 9. ნერონი; 10. ირაო; 11. პრეტორია; 12. ეჯი; 13. საფერავი; 14. მარტი; 15. ლია; 16. ეზოპე; 17. ირისი; 18. სემი; 19. ოლსენი; 20. გრიზაილი; 21. ბისკაი; 22. „ფორდი“; 23. დალაქი; 24. იშტა; 25. ემალი; 26. ბოლონია; 27. ოძისი; 28. სირი; 29. იმერეთი; 30. ტარტუ; 31. ბუთხუზი; 32. ლეთე; 33. აპაში; 34. ოპუსი; 35. კოპრა; 36. რილკე; 37. ილი; 38. თათარაიძე; 39. ომარი; 40. ცხრა; 41. ქაცვი; 42. ხალა; 43. იპრი; 44. ინია; 45. მი; 46. რკო; 47. პლანშე; 48. ლირი; 49. მუნ; 50. ირანი; 51. გრეი; 52. ხილარი; 53. ზეთი; 54. რემისია; 55. მოდერატო; 56. ლარი; 57. რუ; 58. უტ; 59. ათენა; 60. პრიშტინა; 61. ემი; 62. ტირი; 63. აბაი; 64. თია; 65. ნიუ; 66. უმი; 67. თორი.

მე-12 გვერდი: 1. ციფრი; 2. ცაცხვი; 3. ფრისტაილი; 4. იაპეტი; 5. გრიზლი; 6. რიბსტული; 7. ზვარტნოცი; 8. ილფი; 9. ორდალია; 10. პრინცი; 11. აბზაცი; 12. აია; 13. ბატატი; 14. ტიტოვი; 15. ანტეოსი; 16. ნიუ; 17. ლირა; 18. აიმაკი; 19. აბრისი; 20. დია; 21. ალიზი; 22. ორღანი; 23. ტუგრიკი; 24. კოალა; 25. ატაქსია; 26. შალე; 27. მილი; 28. ოდრი ტოტუ; 29. ღანძილი; 30. ვრონსკი; 31. „ამარკორდი“; 32. რწყილი; 33. ორისაბა; 34. „დდტ“; 35. ტიტა; 36. ალეგრო; 37. რანდევუ; 38. ძილი; 39. რუქა; 40. წირი; 41. ოდეკოლონი; 42. ონორე; 43. პროსტი; 44. ყორე; 45. ირიტი; 46. ლოტო; 47. ინტერვიუ; 48. ლაქი; 49. სიდონია; 50. სკა; 51. სისინი; 52. ანეტო; 53. იტი; 54. ალენი; 55. ბაკურიანი; 56. რასპე; 57. ფული; 58. აფრიკა; 59. ნალი; 60. პანო; 61. ეტლი; 62. უცებ; 63. პიტნა; 64. ალა; 65. მურეი; 66. კლიო; 67. ექვსი; 68. ტაბორი; 69. ნაცია; 70. ზმნა; 71. ბანანი; 72. ნეონი; 73. არინა; 74. ვოლანი; 75. კალევალა; 76. ბრინზა; 77. აბგა; 78. ლა; 79. მეგრე; 80. ეკიუ; 81. მზია; 82. „ორერა“; 83. ლობიო; 84. გრიმო; 85. საგა.

მე-11 გვერდი: 1. დიზენტერია; 2. მირაჟი; 3. დალი; 4. ზიკურათი; 5. ნაკადული; 6. მერცხალი; 7. რიბოსომა; 8. ჟაკო; 9. ალიბი; 10. იდიში; 11. კაკალი; 12. რებეკა; 13. აჯიტატო; 14. ობერონი; 15. ლადა; 16. ბაჯო; 17. დარი; 18. ხასა; 19. ბეში; 20. როტა; 21. ლოთი; 22. ლომი; 23. კანტი; 24. ნიაგარა; 25. დუყი; 26. ანი; 27. კიი; 28. ნუტრია; 29. ინი; 30. კორიფე; 31. დევიდ დუხოვნი; 32. ყარაბაღი; 33. შაური; 34. ვარანი; 35. ფრი; 36. ბია; 37. კასტა; 38. სარი; 39. შოუ; 40. იოგა; 41. ანონსი; 42. ობი; 43. გრიპი; 44. ატელიე; 45. ასთმა; 46. დაბა; 47. ორგია; 48. მაისური; 49. დიღომი; 50. პრიამე; 51. მაკრინე; 52. ავიცენა; 53. ერინია; 54. ტირი; 55. ილიესკუ; 56. ტარიბანა; 57. ტურინი; 58. უნცია; 59. როდიკი; 60. ვარციხე; 61. საული; 62. ლაპი; 63. ინრო; 64. ერი; 65. ბემბი; 66. ადლი; 67. ია; 68. ნაივი; 69. მილნი; 70. ლაიმა; 71. ცეცე; 72. ონი; 73. ბე; 74. რიმეიკი; 75. ლა; 76. სიონი; 77. ნაია; 78. ნიუ; 79. კაი; 80. ფრანც; 81. ლიმფა; 82. იუტა; 83. კუ; 84. აბაკანი.

მე-12 გვერდი: 1. პოლიანდრია; 2. ჟაკანი; 3. პეტეფი;' 4. ლირიკა; 5. ალია; 6. ჟღმურტლი; 7. კადასტრი; 8. ნანი; 9. სტარტი; 10. ოცელოტი; 11. ავანსი; 12. მადონა; 13. ოსირისი; 14. ოპუნცია; 15. აკოფი; 16. პოსტ; 17. რუსო; 18. იულონი; 19. ონეგინი; 20. ოვაცია; 21. ნარი; 22. ლორი; 23. იდალგო; 24. სნო; 25. უშბა; 26. იტრიუმი; 27. ერევანი; 28. იბსენი; 29. სინაი; 30. იეტი; 31. უესლი სნაიპსი; 32. ბეკინა; 33. გიდი; 34. თირსოსი; 35. ეტა; 36. ტლუ; 37. კლანი; 38. ამაოების; 39. სეკატორი; 40. რაე; 41. იბისი; 42. ასთმა; 43. ალტაი; 44. იტრია; 45. ლილითი; 46. ვილა; 47. რასტრი; 48. გმირი; 49. გეა; 50. იანძი; 51. ომანი; 52. სტრესი; 53. ურანია; 54. „სუბარუ“; 55. ელფი; 56. ბოა; 57. როჭო; 58. ურნა; 59. სირ; 60. აბრა; 61. აგორა; 62. ურმია; 63. მასისი; 64. ელე; 65. ბაია; 66. ლიმა; 67. ეშვი; 68. ურა; 69. წკირი; 70. სპა; 71. ბალუ; 72. პანეგირიკი; 73. ფოიე; 74. სმს; 75. ამბრი; 76. ოში; 77. მია; 78. კირი; 79. რუ; 80. კამეა; 81. სია; 82. ლუპა; 83. რვალი; 84. აკურა; 85. კუ; 86. იამალი; 87. ორლი.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

დაიჯესტი

მკვიანები დიდხანს ცოცხლობენ

ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ის ადამიანები, ვისაც გამუდმებით სცივა, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. თურმე სხეულის ტემპერატურა სიცოცხლის ხანგრძლივობას უკავშირდება და ეს ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაარკვიეს. ჰორმონალური ცვლილების გამო, ადამიანს მუდმივად სცივა, რაც, რასაკვირველია, დისკომფორტს ქმნის, მაგრამ ამავე დროს, ნელდება მეტაბოლიზმის პროცესი, რაც ენერგიისა და სითბოს შენარჩუნების საშუალებას იძლევა. სწავლულები აპირებენ, ორგანიზმის ამ პრინციპით მუშაობის გათვალისწინებით, სიცოცხლის გასახანგრძლივებელი პრეპარატები შექმნან.

ოქროიდსშენი „თავის ეაქყიდველი"

ამერიკელი მამაკაცი, ლეონარდ ფრიში, იგივე „ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ყიდის", გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის კანდიდატია საკუთარი სხეულის ნაწილების გაყიდვის გამო. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ფრიშმა ტრანსპლანტაციისთვის გაყიდა საკუთარი თირკმელი, ფილტვი, თვალი, ფეხი, ერთი სათესლე ჯირკვალი, 10 კვ.სანტიმეტრი კანი. ამერიკელი ამაზე გაჩერებას არ აპირებდა და მზად იყო, საკუთარი თავი ნაწილ-ნაწილ გაეყიდა, მაგრამ ექიმებმა ამის გაკეთება აუკრძალეს და გააფრთხილეს, რომ სხეულის კიდევ ერთი ნაწილის მოკვეთით ის აუცილებლად დაიღუპებოდა. საკუთარი თავით ამდენი „ვაჭრობის" შემდეგ ფრიში დაინვალიდდა, მაგრამ როგორც აცხადებს, ამ საქცილს წამითაც არ ნანობს, რადგან ოჯახის მატერიალური პრობლემების მოგვარება შეძლო — იყიდა სახლი, შვილებს კარგი განათლება მისცა და თანხა ბანკშიც გადაინახა. ფრიში ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან ბევრ მომაკვდავ ადამიანს დაეხმარა და დონორობით სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სელფი ბლითებზე

ლოს-ანჯელესში ფოტოპორტრეტიანი ბლითების გაყიდვა დაიწყეს. მეგაპოლისის ქუჩებში სპეციალური ფურგონი Pancake Selfie Express დადის, რომელიც მსურველებს საკუთარი გამოსახულებიანი ბლითებით უმასპინძლდება. პროდუქტზე სელფის გაკეთების მსურველი კამერაში იყურება რომელიც გამოსახულებას წამებში გადაიტანს „ბლითების პრინტერზე". სულ რამდენიმე წუთია საჭირო, აპარატმა შესაფერისად რომ გააბრტყელოს ცომი და გამოაცხოს ბლითი ფოტოპორტრეტით.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.